პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 139 (13533) | შაბათი, 18 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

·შრომის ვახტაზე·

გმირულად შრომობენ რესპუბლიკის მეჩაიეები და ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სურათზე: ჩაის კრეფა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე, მოწინავე მეჩაიეები საიმე ჟიჟავაძე (მარცხნივ) და ბესირე ბაჯელიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის დღესასწაული

ჰელსინკი, 17 ივნისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. ბორისოვი და დ. ურმოვი გვატყობინებენ:

მიმდინარეობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტი ფინეთში.

მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა მიტინგი, რომელიც დღეს ნაშუადღევს მოაწყვეს „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებამ და „პაასიკივის საზოგადოებამ". 1944 წელს შექმნილი „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოება … ათას წევრს აერთიანებს. მისი საპატიო თავმჯდომარეა ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი. საზოგადოება დიდ და აქტიურ მუშაობას ეწევა მოსახლეობაში, რათა განუმარტოს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში.

საზოგადოება, რომელიც ფინეთის ყოფილი პრეზიდენტის ი. კ. პაასიკივის — საბჭოთა კავშირთან ფინეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის ახლანდელი პოლიტიკური კურსის ფუძემდებლის სახელს ატარებს, მიზნად ისახავს ი. კ. პაასიკივის იდეების გავრცელებას.

ჰელსინკის მუშათა სახალხო უნივერსიტეტის შენობის წინ ფრიალებს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ალმები. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის სცენა, სადაც მეგობრობის მიტინგის მონაწილენი შეიკრიბნენ, მორთულია ყვავილებით, საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ალმებით, „ფინეთ-სსრ კავშირის" საზოგადოების დიდი ემბლემით. დარბაზში არიან პრემიერ-მინისტრი რ. პაასიო, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი და სხვა მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, ორივე საზოგადოების ხელმძღვანელები და აქტივისტები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრიობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

სახალხო უნივერსიტეტის ვესტიბიულში საპატიო საბჭოთა სტუმარსა და ფინეთის პრეზიდენტს შეხვდნენ „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ე. ფონ ბუნსდორფი და „პაასიკივის საზოგადოების" თავმჯდომარე პროფესორი ი. მ. იამსონი.

დარბაზი ფეხზე ადგა, როცა ა. ნ. კოსიგინმა და უ. კ. კეკონენმა საპატიო ადგილები დაიკავეს ტრიბუნის ახლოს. ორკესტრმა შეასრულა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. მიტინგი გახსნა „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა ბუნსდორფმა, რომელიც მიესალმა საპატიო სტუმარს.

ეს კრება, თქვა მან, ეძღვნება ხალხთა მეგობრობას, იგი ეძღვნება მშვიდობის საქმეს, რომელიც როგორც ჩვენ მიგვაჩნია, განუყოფელია. ჩვენმა ორივე საზოგადოებამ გადაწყვიტა ხელი შეუწყოს მშვიდობის მიღწევას. ჩვენ ვიცით, რომ მდგომარეობა მსოფლიოში სერიოზულია.

ორატორმა მიმართა საბჭოთა მთავრობის მეთაურს როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელიც მშვიდობის საქმისათვის იბრძვის, და რუსულად თქვა:

ბატონო პრემიერ-მინისტრო, მოგესალმებით როგორც ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის დამცველს, როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამცველს.

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელსაც დამსწრენი ტაშით ხვდებიან.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ!

ძვირფასო ფინელო მეგობრებო!

სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი შეხვედრისათვის მინდა მადლობა გადავუხადო „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებას, აგრეთვე „პაასიკივის საზოგადოებას", რომლებმაც დღევანდელი მიტინგი მოაწყვეს. ჩემი აზრით, ეს გულთბილი მიღება … როგორც საბჭოთა კავშირისადმი მეგობრული გრძნობების გამოვლინება, რასაც თქვენს ქვეყანაში რამდენიმე დღის ვიზიტის … ვხედავთ, ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს მეტად დიდმნიშვნელოვანი ფაქტის გამოვლინებაა: ჩვენს სახელმწიფოებს შორის დამკვიდრებული მეგობრული ურთიერთობა ღრმა, … და გულწრფელია.

„ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების, აგრეთვე „პაასიკივის საზოგადოების" მოღვაწეებმა თავიანთი მეცადინეობით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ამ მეგობრობის განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნების … ურთიერთობის განვითარებას. ეს კეთილშობილური … საქმიანობაა, რომელიც პატივისცემისა და მაღალი შეფასების ღირსია.

კმაყოფილებით ვხედავთ, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობის განვითარება თქვენი ქვეყნის როგორც ოფიციალური …, ისე პროფკავშირული, ახალგაზრდობის და სხვა მასობრივი ორგანიზაციების საქმეა. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ ფინეთის … დიდ ყურადღებას უთმობენ „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოებას, რომელიც თქვენი ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებს აერთიანებს. ამას მოწმობს საზოგადოების … თავმჯდომარის პრეზიდენტ უ. კეკონენის, პრემიერ-მინისტრ რ. პაასიოსა და ფინეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეების აქ დღეს.

მიბოძეთ გულითადად მივესალმო ამ საზოგადოების ყველა …, ქალაქ ჰელსინკის აქ შეკრებილ მოქალაქეებს და საბჭოთა ხალხის სახელით თქვენ და მთელ ფინელ ხალხს გულწრფელად ვუსურვო ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და წარმატებანი.

… წლებია ჩვენი ქვეყნები ცხოვრობენ როგორც კეთილი მეზობლები და მეგობრები, ავითარებენ ურთიერთობას, ქმნიან … უფლებიანი და ყოველმხრივი თანამშრომლობის სულ … ახალ შესაძლებლობებს. ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, … მეგობრულმა ურთიერთობამ გაუძლო დროის გარკვეულ … და ცხადყო თავისი ცხოველმყოფელობა.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხალხებმა … გაიგეს. ჩვენმა სახელმწიფოებმა თავიანთი ურთიერთობის … ომის ნაპარტახალსა და ნანგრევებზე დაიწყეს და ხელმძღვანელობდნენ საიმედო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის მისწრაფებით. ამისათვის ყოველ ღონეს ვხმარობდით … პატივისცემით ვეკიდებოდით ერთმანეთის ინტერესებს. ამგვარად … სტაბილურ და მტკიცე ურთიერთობას, ურთიერთობის განმტკიცებას. საგარეო პოლიტიკაში, ისევე როგორც ცალკე ადამიანთა ცხოვრებაში, ნდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს … ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაფართოებით.

… კავშირ-ფინეთის ურთიერთობის ასეთი კეთილსაიმედო … არებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგიერთ … მინდა აღვნიშნო დღეს ამ ფაქტორებს შორის ყველაზე … მნიშვნელოვანი, რადგან ისინი ახლაც მთლიანად ინარჩუნებენ … ძალას.

პირველ ყოვლისა, ეს არის საბჭოთა კავშირის როგორც სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის თვით პრინციპები. … პოლიტიკას საფუძვლად უდევს ის, რომ ვცნობდეთ თვითეული ხალხის ეროვნული თვითგამორკვევის, ეროვნული დამოუკიდებლობის … უფლებს გარედან ჩაურევლად. ამ პრინციპმა თავისი კონკრეტული გამოხატულება პოვა საბჭოთა სახელმწიფოს პრაქტიკული … ნაბიჯებით მისი შექმნის მომენტიდან.

… მაგალითია ფინეთის თვითგამორკვევის საკითხიც. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მალე საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ფინეთის დამოუკიდებლობის ცნობის … დეკრეტი ამ საკითხზე ფინეთის წარმომადგენლებს გადასცა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცების … ფაქტორია ის, რომ ფინეთი ახორციელებს მშვიდობისმოყვარე … პოლიტიკას, რომელსაც „პაასიკივი-კეკონენის ხაზი" ეწოდება. … ძირითადი იდეა ის არის, რომ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის … კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც განუწყვეტლივ … კეთილსაიმედო მიმართულებით, შეესაბამება ორივე … ხალხთა სასიცოცხლო დიდმნიშვნელოვან ინტერესებს. „პაასიკივი-კეკონენის" კურსი სახავს პოლიტიკურ ეკონომიურ და კულტურის დარგებში ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობის … შესაძლებლობებს.

… სახელმწიფოებისა და ხალხების გულწრფელი მისწრაფება … თანამშრომლობისადმი მშვიდობისა და პროგრესის უზრუნველყოფისათვის … ასახა 1948 წლის 6 აპრილს დადებულ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაში. ეს ხელშეკრულება, როგორც უკვე არა ერთგზის აღუნიშნავთ ჩვენი ქვეყნების … პოლიტიკურ მოღვაწეებს, შემობრუნების პუნქტი გახდა საბჭოთა … ფინეთის ურთიერთობის ისტორიაში. მან საფუძველი ჩაუყარა … ქვეყნების წარმატებით და ყოველმხრივ განვითარებას და … ხელი შეუწყო და ხელს უწყობს ევროპის მშვიდობის …

… მოსწონს დასავლეთის ზოგიერთ მოღვაწეს, რომლებსაც … ის დრო როცა თანამშრომლობა და ნდობა კი არა, უთანხმოება და მტრობა ახასიათებდა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის … ურთიერთობას როგორც ჩანს, წარსულის დაბრუნება, უფრო შესაბამისად გეგმებს, ვინც თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად … საერთაშორისო დაძაბულობის პლატფორმას.

… რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა ინტერვიუ დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრისა, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია თავისებური განმარტება საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მნიშვნელობა. ამ კაცმა იკისრა ფუნქციები, რომლებიც მისთვის არავის არ მიუცია. იგი ამტკიცებდა, ხელშეკრულებას მხოლოდ „დეკლარაციული ხასიათი" აქვსო. იგი ამახინჯებდა სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობის არსს და ცდილობდა ისე წარმოესახა ევროპის ამბების განვითარება, როგორც ხელსაყრელია დასავლეთ გერმანიის აგრესიული რევანშისტული წრეებისათვის. ასეთი განცხადებანი მხოლოდ იმათ შეუძლიათ გააკეთონ, ვინც დაკარგა პასუხისმგებლობის ყოველგვარი გრძნობა და ანგარიშს არ უწევს იმას, რასაც ამბობს.

არც ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, არც ფინელებს, დარწმუნებული ვარ, არავისათვის არ დაგვივალებია, რომ თავისებურად განემარტათ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება იყო და არის ის ისტორიული დოკუმენტი, რომელზეც დაფუძნებულია სსრ კავშირისა და ფინეთის მტკიცე ურთიერთობა და რომელიც ფინეთის უშიშროების და სსრ კავშირის საზღვრების შეუვალობის უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

თანამშრომლობას, რომელიც შეიქმნა და ვითარდება საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის. იგი დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოებს, ორივე მხარის კეთილი ნებისა და სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ მეგობრულად იცხოვრონ და თანამშრომლონ თავიანთი ხალხების საკეთილდღეოდ და საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა თავის ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან, და საფუძველი გვაქვს კმაყოფილი ვიყოთ იმით, რომ ჩვენს კეთილმეზობლურ პოლიტიკას კარგი შედეგები მოაქვს.

მსოფლიოს დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გვქონდეს მეზობლური ურთიერთობის, სიმტკიცის საზღვრების ურღვევობის რწმენა, იმის რწმენა, რომ განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილებანი ხელს არ უშლიან ორ სახელმწიფოს შორის ნდობის დამყარებას.

თანამედროვე მსოფლიოში დიდი ცვლილებები ხდება. მრავალი ხალხი დაადგა სოციალიზმის გზას და წარმატებით მიიწევს წინ. სულ უფრო ფართოვდება იმ ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბი, რომლებსაც წინათ კოლონიური ბატონობის მძიმე უღელი ედგათ, ახლა კი თავისუფლება მოიპოვეს და ცდილობენ განიმტკიცონ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა. სხვა ხალხები კი განაგრძობენ ბრძოლას თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, თავიანთი უფლებებისათვის. ყველგან იზრდება მისწრაფება გამონახონ მრავალი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური პრობლემის გადაჭრის გზა. ცხოვრება ახალ-ახალ ამოცანებს გვისახავს, რომლებზეც დამოკიდებულია მსოფლიოს მომავალი, მთელი ხალხების ბედ-იღბალი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ხალხებს საფუძვლიანად იმედი ჰქონდათ, რომ საერთაშორისო უშიშროება მტკიცედ იქნება უზრუნველყოფილი და მათ თავს აღარ დაატყდებოდა ახალი ომები. მაგრამ მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას აბრკოლებს ბევრი მოუგვარებელი მწვავე საკითხი.

იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების ცდები, რომ მოვლენათა მსვლელობა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ, ხელს უშლის კაცობრიობას იაროს წინ მშვიდობისა და პროგრესის გზით. რა თქმა უნდა, ეს ძალები გზას ვერ გადაუღობავენ ისტორიის მსვლელობას — ისევე როგორც ეს ვერ შეძლო ჰიტლერულმა ფაშიზმმა. მაგრამ მათ შეუძლიათ საქმე იქამდე მიიყვანონ, რომ კაცობრიობა პროგრესის დასაცავად იძულებული გახდება კვლავ დიდი, შესაძლოა ერთობ დიდი ხარჯი გაიღოს. ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად საჭიროა განხორციელდეს პრაქტიკული ღონისძიებანი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის იმ მწვავე პრობლემათა მოსაწესრიგებლად, რომლებმაც უკვე დაძაბული ვითარება შექმნეს მსოფლიოში.

არ უნდა გვეგონოს, რომ მშვიდობა შესაძლებელია, როცა ძალით ცდილობენ დამოუკიდებლობა წაართვან ხალხებს, როცა მიმართავენ იარაღს, სჩადიან აგრესიას, როცა მიმდინარეობს ომი, როგორც ეს ვიეტნამში ხდება. როგორც უნდა გაზარდონ თავიანთი ძალები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ რაიონში, ისინი მაინც ვერ დაამარცხებენ გმირ ვიეტნამელ ხალხს.

ვიეტნამში თავიანთი პოლიტიკით, იმით, რომ არ სურთ ანგარიში გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები სულ უფრო მეტად ექცევიან საერთაშორისო იზოლაციის მდგომარეობაში. მთელ მსოფლიოში იზრდება აქტიური ბრძოლა ამერიკის აგრესიის შეწყვეტისათვის. მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა უშიშროების საქმე, გამოთქვამს აღშფოთებას, პროტესტს და გმობს აგრესიას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ თქვენი საზოგადოებაც მონაწილეობს ამ მასობრივ მოძრაობაში, რომლის კეთილშობილური მიზანია ვიეტნამში ამერიკის აგრესიის შეწყვეტა. მშვიდობა მოითხოვს ბრძოლას, გადამწყვეტ ბრძოლას ერთ სახელმწიფოთა მიერ სხვათა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, ბრძოლას ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მინდა თქვენი ყურადღება იმასაც მივაპყრო, რომ ვიეტნამში ამერიკის აგრესიის შეწყვეტისათვის ბრძოლას უშუალო კავშირი აქვს ევროპის საქმეებთან. ისეთ პირობებში, როცა ევროპის ბევრი სახელმწიფო, მათ შორის თქვენი მეზობლებიც, შებოჭილია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ვალდებულებებით, არის რეალური საშიშროება, რომ ეს სახელმწიფოები, შესაძლოა მათი ნებისა და სურვილის წინააღმდეგაც, ჩათრეულ იქნან სამხედრო კონფლიქტებში, რომლებიც შეიძლება ამერიკის მმართველმა წრეებმა გააჩაღონ მსოფლიოს ამა თუ იმ რაიონში. ეს დიდმნიშვნელოვანი გარემოება კვლავ ცხადყოფს მშვიდობის საქმისათვის იმ მავნე და საშიშ როლს, რომელსაც წინანდებურად ასრულებს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი.

დაძაბული ვითარება იქმნება ევროპაში, სადაც დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით მოითხოვენ, რომ შეიცვალოს ომისშემდგომი საზღვრები, ყოველნაირად ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი.

ასეთ ვითარებაში ევროპის ხალხთა შეგნებაში, ყველაზე რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეთა გონებაში სულ უფრო მტკიცედ იკვლევს გზას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის კოლექტიურ ღონისძიებათა განხორციელების იდეა. უკანასკნელ წლებში ევროპის მთელი რიგი სოციალისტური თუ არასოციალისტური სახელმწიფოები იღვწოდნენ ამისათვის, აყენებდნენ შესაბამის წინადადებებს.

საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს ყოველ პატიოსან და გონივრულ მეცადინეობას ევროპაში მტკიცე მშვიდობიანი ვითარების შესაქმნელად. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ დასავლეთი გერმანია ითვალისწინებდეს ომისშემდგომ პოლიტიკურ რეალობას: ევროპაში არის ორი გერმანული სახელმწიფო, ევროპაში გადაწყვეტილია ყველა სასაზღვრო საკითხი.

ზრუნავს რა მშვიდობისათვის, საბჭოთა მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა, რომ მოწვეულ იქნას სრულიად ევროპის კონფერენცია ევროპის უშიშროების საკითხზე. ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფა ევროპის ყველა, დიდი თუ პატარა სახელმწიფოს საქმეა. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ საკითხს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ინიციატივას ფართოდ დაუჭერენ მხარს, მათ შორის თქვენს ქვეყანაშიც.

პოლიტიკის დარგში ისევე, როგორც კულტურის დარგში, თვითეული ცალკეული ხალხის წვლილი ყოველთვის პროპორციული როდია მისი მოსახლეობის რიცხვისა თუ მისი ტერიტორიის სიდიდისა. ამას მიაპყრობდა ყურადღებას ერთ-ერთი საუკეთესო რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, რომელიც ხაზს უსვამდა ფინელი ხალხის დიდ წვლილს მსოფლიო ცივილიზაციაში და აღნიშნავდა, რომ ასეულ საუკუნეთა მანძილზე არაფერი არ შექმნილა „ილიადისა" თუ „კალევალის" შესადარი.

ფინეთი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობის განმტკიცებაში და მის ინიციატივას მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებში იწონებენ და მხარს უჭერენ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

თქვენი ქვეყნის პოლიტიკა, ფინეთის პოლიტიკაა, რადგან იგი შეესაბამება ფინელი ხალხის ინტერესებს. ამავე დროს ეს ისეთი პოლიტიკაა, რომელიც შეესაბამება საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. საბჭოთა კავშირი მიესალმება ამ პოლიტიკას.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი ვიზიტი მთავრდება. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა მშვენიერმა დედაქალაქმა, ჩრდილოეთ ფინეთის დათვალიერებამ, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და სოციალურ პროგრესში ფინელი ხალხის მიღწევების გაცნობამ.

ფინელ ხალხს მკაცრი ჰავის პირობებში უხდება მუშაობა. ბუნებას თქვენი ქვეყანა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ბევრი რაიონი, მაინცდამაინც უხვად არ დაუჯილდოებია. ჩვენ კვლავ დავრწმუნდით, რომ ამ ძნელმა პირობებმა ფინელ ხალხს ჩაუნერგა დიდი შრომისუნარიანობა, შეუპოვრობა, საკუთარი ძალების რწმენა. ეს ძალიან კარგი თვისებებია და დიდი პატივისცემის ღირსია.

ამ დღეებში ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით და ვესაუბრეთ პრეზიდენტ უ. კეკონენს, პრემიერ-მინისტრ რ. პაასიოს, საგარეო საქმეთა მინისტრ ა. კარიალაინენსა და ფინეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობაა. ეს აშკარა ფაქტია. არანაკლები საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ ისიც, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას საფუძვლად უდევს ნდობა და საერთო ინტერესები მათი უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. ყოველივე ეს ქმნის რწმენას, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და გაფართოვდება, ამით მოიგებს როგორც ფინელი ხალხი, ისე საბჭოთა ხალხი.

ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი იმ პერიოდში ჩაეყარა, როცა თქვენს ქვეყანას პრეზიდენტი პაასიკივი ხელმძღვანელობდა. იმ წლებში შემუშავებულ კურსს აქტიურად უჭერდნენ მხარს ფართო დემოკრატიული წრეები. ახლა ამ კურსს წარმატებით განაგრძობს პრეზიდენტი კეკონენი. საგარეო პოლიტიკური პროგრამა ფინეთის ახალი მთავრობისა, რომელიც შექმნილია უდიდესი პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობის საფუძველზე, ადასტურებს „პაასიკივი-კეკონენის" კურსს. ეს პროგრამა ეყრდნობა ფინელი ხალხის უაღრესად ფართო ფენების მხარდაჭერას, და ამიტომ დიდ შესაძლებლობებს უსახავს ყველას, ვინც მთელ თავის ძალღონეს ახმარს მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება. ვუსურვებთ წარმატებებს ფინეთის ახალ მთავრობას მისი მშვიდობისმოყვარული კურსის განხორციელებაში. ვუსურვებთ წარმატებებს ყველას, ვინც თავისი მეცადინეობით ხელს უწყობს ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ჩვენი მხრივ ვეცდებით, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კიდევ უფრო ფართო და ნაყოფიერი იყოს, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც ემსახურებოდეს სუომისა და საბჭოთა კავშირის კეთილდღეობას, ფინელი და საბჭოთა ხალხების კეთილდღეობას, მათს აყვავებასა და პროგრესს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით მინდა ვუსურვო ფინეთის მოქალაქეებს, ჩვენს კეთილ მეზობლებსა და მეგობრებს, ახალი წარმატებანი და კეთილდღეობა.

ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადავუხადო ფინეთის პრეზიდენტს ურხო კეკონენს, მთავრობას და ყველა ფინელ მეგობარს გულითადი სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი მიღებისათვის.

დაე განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების მეგობრობა!

* * *

ა. ნ. კოსიგინის სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს ბევრჯერ გაისმა ტაში.

ჰელსინკის სახალხო უნივერსიტეტში გამართული მეგობრობის მიტინგი ტრანსლირებული იყო ფინეთის ტელევიზიითა და რადიოთი.

გულითადი შეხვედრები

ჰელსინკი, 15 ივნისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ი. ბორისოვი და დ. ურმოვი გვატყობინებენ:

… ფინეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ოფიციალური ვიზიტის მესამე დღე … მოგზაურობით პორკალის …, რომელიც ჰელსინკის მახლობლად მდებარეობს. აქ, 30 კილომეტრზე … დედაქალაქიდან, აღმართულია … ორი დიდი სამრეწველო საზოგადოების „ფინეთის კაბელის ქარხნისა" და „… სოკერის" ახალი ნაგებობა …

… დათვალიერებას … კაბელის … საწარმოო … საქმიანობის შესახებ … მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე … მიესალმა … მუშათა სახელით … მუშათა კოლექტივის წარმომადგენელი … ნოსტენა.

ფინეთის კაბელის ქარხნის საამქროთა დათვალიერების შემდეგ ა. ნ. კოსიგინი, რ. პაასიო და მათი თანმხლები პირები ავტომანქანებში ჩასხდნენ და პიკალიდან წავიდნენ.

რამდენიმე კილომეტრზე კაბელის ქარხნიდან, ლამაზ პორკალაში აღმართულია სააქციო საზოგადოება „სუომენ სოკერის" ერთ-ერთი საწარმოს კორპუსები. ეს სააქციო საზოგადოება აწარმოებს შაქარს.

პორკალის შაქრის ქარხანა შარშან ოქტომბერში ამოქმედდა. … ძირითადად საბჭოთა კავშირიდან … საპატიო საბჭოთა სტუმრებს მიესალმა სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი ბ. ჰერნბერგი. მან სტუმრებს დაათვალიერებინა პორკალას ქარხანა და გააცნო საწარმოო პროცესი. ა. ნ. კოსიგინმა გამოკითხა, თუ როგორია წარმოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია.

შემდეგ საბჭოთა სტუმრები და ფინეთის სახელმწიფო მოღვაწენი ლიფტით აიღნენ ტერასაზე, რომელიც განლაგებულია ერთ-ერთი საამქროს სახურავზე. გაიმართა საუბარი ჟურნალისტებთან.

ჰელსინკი, 16 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი დღეს დილით სპეციალური მატარებლით ჩავიდნენ ქალაქ ოულუში.

ფინეთში მოგზაურობისას ა. ნ. კოსიგინს ახლავან საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ო. სალონენი, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ი. ვანამო და სხვა ოფიციალური პირნი.

ჰელსინკი, 16 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, აგრეთვე მათი თანმხლები პირები დღეს დღის პირველ ნახევარში ეცნობოდნენ ქალაქ ოულუსა და მის მიდამოებს.

ქალაქის ხელისუფლებამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად სადილი გამართა სასტუმრო „ტერვაჰოვში".

ჰელსინკი, 17 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინმა და ფინეთის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა დაამთავრეს ქალაქების ოულუსა და რააჰეს სამრეწველო საწარმოთა გაცნობა და სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ ჰელსინკიში.

ჰელსინკი, 17 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი ოულუსა და რააჰეში მოგზაურობის შემდეგ სპეციალური მატარებლით დღეს დილით ჰელსინკიში დაბრუნდნენ.

ჰელსინკი, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ ფინეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატამ საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად. საუზმეს … ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი.

ახალგაზრდა მებაღეთა მეორე რესპუბლიკური შეკრება

გორი. (სპეც. კორ.). გუშინ ქალაქ გორში გაიმართა ახალგაზრდა მებაღეთა მეორე რესპუბლიკური შეკრება. მოხსენება — „სკკპ XXIII ყრილობის, საკავშირო ალკკ XV ყრილობის გადაწყვეტილებები და საქართველოს ახალგაზრდა მეხილეთა ამოცანები" — გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ჩერქეზიამ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბზიშვილმა, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. სანაკოევმა, ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლეურმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ე. რეხვიაშვილმა, ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. კუხიანიძემ, თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის კოლმეურნეობის ბრიგადირმა კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ჯ. ჯმუხაძემ, გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. თვალიაშვილმა, ქ. ტყიბულის ძმუისის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსმა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა დ. გოგელაშვილმა, კომკავშირის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ებრალიძემ, გარდაბნის რაიონის ალთაღლის საბჭოთა მეურნეობის მეხილეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ზ. ალიევმა, საქართველოს სსრ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ნ. ხომიზურაშვილმა, გორის რაიონის ხელთუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორმა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ლ. ჩალაბაშვილმა, ქარელის რაიონის მოხისის კოლმეურნეობის მეხილემ, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ც. ციცქიშვილმა, საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ლ. ყანჩაველმა, გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლემ ვ. სუხიტაშვილმა, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილემ დ. სარიშვილმა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ი. ჟანუყვაძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდა მეხილეებისადმი. შეკრების ვრცელი ანგარიში ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება.

პური — სამშობლოს

წითელწყარო. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღების ტემპი დღითიდღე ძლიერდება. მკის პარალელურად კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვა დაიწყეს. ამ საქმეს პირველად შეუდგა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა, რომელმაც ორ დღეში 450 ცენტნერი ხორბალი ჩააბარა.

ორ-სამ დღეში წითელწყაროელები მასობრივად დაიწყებენ სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვას.

სიღნაღი. (საკ. კორ.). პურპროდუქტების წეროვის ბაზისაკენ განუწყვეტლივ ნაკადად მიედინება ხორბლით დატვირთული ავტომანქანების კოლონები. ქედის მაჩხაანის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს პირველი 500 ცენტნერი ხორბალი ჩააბარა, …ანის კოლმეურნეობამ — 450 ცენტნერი, ძველი ანაგის კოლმეურნეობამ —350 ცენტნერი.

სიღნაღელები სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვას ივნისის ბოლომდე დაამთავრებენ.

368 ვაგონი კონსერვი

ქუთაისი. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე, 10 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის ნახევარი წლის დავალება და 203 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს გეგმის გადამეტებით.

ქარხანამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში უკვე გაგზავნა ქუთაისური მარკის 368 ვაგონი კონსერვი.

თვის ბოლომდე ქარხნის კოლექტივი კიდევ დამატებით გამოუშვებს სულ მცირე ერთ მილიონ ქილა კონსერვს.

გაზეთ „ახალი სვანეთის" იუბილე

მესტია, 17 ივნისი (საქინფორმი). 30 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების მესტიის რაიონული საბჭოს აღმასკომის ორგანოს გაზეთ „ახალი სვანეთის" პირველი ნომერი.

გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელიც გახსნა პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ქალდანმა.

მოხსენება „გაზეთ „ახალი სვანეთის" სახელოვანი საბრძოლო გზა" გააკეთა გაზეთის რედაქტორმა დ. სოლლიანმა.

გაზეთის რედაქციის კოლექტივს, მის სოფლის კორესპონდენტებსა და მრავალ მკითხველს მიესალმნენ პარტიის მესტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ფ. ხარძიანი, კომკავშირის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ი. მერლანი, მესტიის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ჩართოლანი, მშრომელთა დეპუტატების მესტიის რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე ი. მარგიანი, ლენჯერის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ჯაჯვანი.

საზეიმო სხდომაზე რედაქციისა და სტამბის უხუცეს მუშაკებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

1966 წლის 15 ივნისისათვის (ტონობით)

	აპრილის, მაისის, ივნისის გეგმა	ფაქტიურად	პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	16270	16100	99,0
გაგრის	8535	8638	101,2
ოჩამჩირის	5413	5257	97,1
გუდაუთის	1625	1400	86,2
გულრიფშის	552	643	116,5
სოხუმის	145	162	111,7
აჭარის ასსრ	15890	17955	113,0
ქობულეთის	11486	12575	109,5
ბათუმის	4229	5168	122,2
ქედის	175	212	121,1
მახარაძის	18650	21700	116,4
ზუგდიდის	12635	12803	101,3
წალენჯიხის	5975	6887	106,9
ლანჩხუთის	5200	5899	113,4
გეგეჭკორის	4560	5011	109,9
ჩხოროწყუს	4112	4470	108,9
ჩოხატაურის	2830	3326	124,6
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2175	2988	137,4
წყალტუბოს	2120	3076	145,1
წულუკიძის	2085	2610	125,2
ცხაკაიას	1980	2727	137,7
ხობის	1775	1939	109,2
სამტრედიის	610	679	111,3
აბაშის	220	305	138,6
თერჯოლის	175	317	181,1
ჭიათურის საქალაქო საბჭო	150	217	144,7
ვანის	65	91	140,0
ზესტაფონის	25	38	155,2
სულ	97500	108847	111,6
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობათა ტრესტი	18750	19661	104,9
1965 წლის 15 ივნისისათვის იყო	—	69487	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-121"

1966 წლის 17 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-121". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს. თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,9 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 354 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 210 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 72,9 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ხუთწლედი ჩვენი სისხლხორცეული საქმეა!

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „ზემო ქართლის" კომუნისტები სახავენ საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობის გზებს

სკკპ XXIII ყრილობის დამთავრებიდან ორი კვირაც არ იყო გასული, რომ ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „ზემო ქართლის" კომუნისტებმა უპარტიო აქტივთან ერთად განიხილეს თავიანთი სასოფლო-სამეურნეო არტელის დღევანდელი და ხვალინდელი დღე ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. მომხსენებელი იყო კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი გ. მაჭარაშვილი. კომუნისტები დიდი კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ ახალ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის განვითარების გრანდიოზულ გეგმებზე, თავიანთი კოლმეურნეობის ნათელ პერსპექტივებზე. ისინი ხაზს უსვამდნენ პარტიის წევრთა ავანგარდულ როლს, აკრიტიკებდნენ ჩამორჩენილებს, აყენებდნენ შენიშვნებსა და წინადადებებს. სახავდნენ წინსვლის გზებს. მომხსენებლისა და მოკამათეთა გამოსვლებში ჩანდა კომუნისტთა ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის.

მას შემდეგ თვინახევარზე ცოტა მეტი გავიდა. კომუნისტებმა უკვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. ამოწმებენ თავიანთი დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. ამ გვერდზე მოთავსებული მასალები ცხადყოფენ, თუ რა დასკვნები გააკეთეს აქაურმა კომუნისტებმა პარტიულ კრებაზე გამართული გულახდილი საუბრიდან, როგორ ღრმად იგრძნეს ის მაღალი პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება თვითეულ მათგანს ჩვენი განვითარების მიმდინარე ეტაპზე.

კარგ პირობებს კარგი გამოყენება უნდა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს სიუხვის გასაღები მოგვცა. მტკიცე და რამდენიმე წლისათვის უცვლელი სახელმწიფო შესყიდვები, სამართლიანი ფასები ძირითად კულტურებსა და მეცხოველეობის პროდუქტებზე, ზეგეგმით შესყიდვათა ახალი სისტემა, ბოლოს, სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ჭეშმარიტად უდიდესი ციფრი, ტრანსპორტით, ტექნიკითა და ელექტროენერგიით უკეთ უზრუნველყოფა — ყველა ეს თვითეულ საზოგადოებრივი მეურნეობის წინაშე ისეთ შესაძლებლობებს სახავს, რომლებზეც აქამდე სერიოზულად ფიქრიც არ შეგვეძლო.

მარტის პლენუმის პირველი კეთილსასურველი ნაყოფი უკვე მოვიმკეთ: ჩვენმა კოლმეურნეობამ გასული სამეურნეო წელი ძირითადად კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა; ეს განსაკუთრებით ითქმის მარცვლეულ მეურნეობასა და მებოსტნეობაზე. მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ ხილისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაშიც. მიღწევებში დიდი წვლილი შეიტანეს ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები ბ. ბარათაშვილი, ს. ნოზაძე, ა. განჯელაშვილი, ა. ნადირაძე, პ. ნოზაძე ხელმძღვანელობენ, აგრეთვე მექანიზატორებმა ბ. და ა. მოსიაშვილებმა, მებოსტნე ი. ბარათაშვილმა და მრავალმა სხვამ.

ბევრ კომუნისტს ახლის კარგი გრძნობა აქვს და საქმიან ინიციატივასაც იჩენს. მახსოვს არაერთი შემთხვევა, როცა გამგეობაში, პარტკომში ზედიზედ შემოდიოდა კომუნისტთა წინადადებანი:

— გავაფართოოთ სიმინდის ნათესები!

— მოვაწყოთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია!

— მაქსიმალურად გამოვიყენოთ სარწყავი ქსელი!

ჩვენ შევისწავლეთ ამ წინადადებათა პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობანი, და წელს ეს საკითხები გვარდება.

ერთგვარი მიღწევები, რაც სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში მოვიპოვეთ, თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, მით უმეტეს, რომ არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული.

წელს ჩვენი მეურნეობა მნიშვნელოვნად მეტ მარცვლეულს, შაქრის ჭარხალს, ხილს, ყურძენს, ბოსტნეულსა და მეცხოველეობის პროდუქტებს აწარმოებს.

მართალია, წვიმიანებს შემოდგომაზე ითესლიან, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ნათესებს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს. მათ მზრუნველობით ვუვლით, არც ბაღ-ვენახებს ვაკლებთ მოვლას.

ვცდილობთ ისე ავაწყოთ მუშაობა, რომ ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მექანიზატორთა როლი, შევუქმნათ მათ მუშაობის ხელსაყრელი პირობები, მხარი დავუჭიროთ და ყური ვუგდოთ მათს ხმას. ეს გასაგებიც არის, რადგან თანამედროვე პირობებში მსხვილი მეურნეობის მართვა წარმოუდგენელია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დაუნერგავად.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით დასახულია კოლმეურნეთა შემოსავლის უფრო სწრაფად გადიდება. იგი დაუახლოვდება საბჭოთა მეურნეობების მუშათა ხელფასის დონეს. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის ახალ დადგენილებას, რომლითაც რეკომენდებულია კოლმეურნეობებში შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურების შემოღება, ამ ფაქტმა ჩვენი კოლმეურნეები უსაზღვროდ გაახარა, რადგან იციან, რომ მათ კარგი ანაზღაურება ექნებათ. ანაზღაურების ამ წესზე გადასვლას საკუთარი სახსრებით შევძლებთ და სახელმწიფოს კრედიტი არ დაგვჭირდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1966 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების შესახებ ჩვენი ღვიძლი საქმეა. პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დავსახეთ ადგილობრივ პირობებში სარწყავი ქსელის მაქსიმალურად გამოყენების ღონისძიებანი. სრულ წესრიგში მოვიყვანეთ სარწყავი ქსელი, გამოვყავით მორწყველთა სპეციალური ბრიგადა, რომელსაც სათავეში კომუნისტი ს. ხარშილაძე ჩაუდგა. ამის შედეგად წელს ჩვენთან რწყვა გაცილებით უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში. მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: ზოგიერთი ნაკვეთის რწყვაზე ხელს გვიშლის ნიადაგის მოუშანდაკებლობა. ჩვენს კოლმეურნეობას საამისო ტექნიკა არ გააჩნია და არც რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილება გვეხმარება სათანადო იარაღ-მანქანების მომარაგებაში.

მინერალური სასუქების დიდ ნაკლებობასაც განვიცდით. წელს მარტო სიმინდის ნათესებში უნდა შეგვეტანა 60 ტონა აზოტოვანი სასუქი, შაქრის ჭარხლის ნათესებშიც ამდენივე, სხვა კულტურებსა და მრავალწლიან ნარგავებზე, რომ აღარაფერი ითქვას. მაგრამ ამის გაკეთებას როგორ შევძლებდით, როცა დაგეგმილი 749 ტონა მინერალური სასუქიდან მიღებული გვაქვს მარტო 90 ტონა. როცა ამის თაობაზე „საქსოფლტექნიკის" რაიგანყოფილებას მივმართავთ, გვეუბნებიან, არ გვიგზავნიან და რა მოგცეთო.

პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებმა სოფლის მშრომლები ახალი სახელოვანი საქმეებისათვის აღაფრთოვანა. კოლმეურნეობებმა მიიღეს მეტი უფლება, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ თავიანთი საქმეები, და უნდა ნახოთ, რა დაინტერესებითა და აქტივობით წყვეტენ ამ საქმეებს! სწორედ ამაშია სიუხვის გასაღები.

პარტია ელის ჩვენგან, კომუნისტებისაგან, მებრძოლ, ფამკვრელურ მუშაობას. რაც უფრო სწრაფად აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს, მით უფრო წარმატებით შევასრულებთ პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მივცემთ ქვეყანას მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ვ. კუჟაძე,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ავანგარდში!

ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდ ჯგუფთან ერთად შრომის წითელი დროშის ორდენით დამაჯილდოვა.

შარშან არ დარჩენილა ბოსტნეულის არც ერთი სახე, რომლის მოსავლიანობის გეგმები ორ-სამმაგად არ შეგვესრულებინოს. ეს მით უმეტეს საამაყოა, რადგან არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მებოსტნეობა ჩვენთან ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა. როცა კომუნისტები ნამდვილად დაირაზმნენ ჩამორჩენის დასაძლევად, მებოსტნეობა კოლმეურნეობის ერთ-ერთ წამყვან და შემოსავლიან დარგად გადაიქცა. კომუნისტები არა მარტო თვითონ შრომობენ კარგად, არამედ სხვებსაც ასწავლიან თავიანთი მუშაობის ხერხებს და გაჭირვებაში ხელს უწყობენ.

პარტიის XXIII ყრილობამ კოლმეურნეებს ახალი დიდი ამოცანები დაგვაკისრა. ძალებს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ ისინიც წარმატებით შევასრულოთ.

და, ბოლოს, მებოსტნეებს ერთი სატკივარი გვაწუხებს, და ამაზე მინდა მოგახსენოთ. ჩვენთან მებოსტნეობის მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები მექანიზებული არ არის. ბოსტნეულსაც კი თესლს ხელით ვცლით. არ ვიცი, რით უნდა ავხსნათ ეს: მანქანები არ გამოდის თუ ჩვენამდე ვერ აღწევს?

ბ. ბარათაშვილი,
მებოსტნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

მოვალეობის მაღალი შეგნებით

უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა სკკპ XXIII ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან. ძნელია იპოვნო სიტყვები, რომლებიც სრულად გამოხატავდნენ იმას, რასაც განვიცდიდით დელეგატები პარტიის XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში. ყრილობა მიმდინარეობდა საქმიანობის, პრინციპულობის ვითარებაში, უხმაუროდ და უპარადოდ. და ამაში ვხედავდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და შემდგომი პლენუმების კეთილსასურველ გავლენას.

ვისმენდით დელეგატები პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, რომლითაც ლ. ი. ბრეჟნევი გამოვიდა, ა. ნ. კოსიგინის მოხსენებას ხუთწლიანი გეგმის დირექტივებზე და გული სიხარულით გვევსებოდა: რა დიდი ნაბიჯი გადაგვიდგამს წინ და როგორი უფრო დიდი საქმეები მოგველის!

მოსკოვიდან დავბრუნდი ერთი ფიქრით: როგორ მოვაწყოთ საქმე, რომ უკეთ, სწრაფად განვახორციელოთ ყრილობის გადაწყვეტილებანი.

დღემდე ცუდად როდი ვმუშაობდით, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება რომ შეგვიძლია, ამასაც ვერ უარვყოფთ. მიწები ნაყოფიერი გვაქვს, შესაძლებლობანი — დიდი. ისღა დაგვრჩენია, რომ მკვეთრად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამისათვის კი საჭიროა გამოვიჩინოთ მეურნეობის გაძღოლის მეტი უნარი, დავეუფლოთ ხელმძღვანელობის ხელოვნებას, ფართოდ გამოვიყენოთ თანამედროვე მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები.

ახლა უაღრესად უნდა გავააქტიუროთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის მოღვაწეობა. სწორედ ჩვენ, კომუნისტები, უნდა ჩავუდგეთ სათავეში უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის ბრძოლას.

აი მე ბლოკნოტში ამოვიწერე ასეთი სიტყვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან: „**პარტიის შემდგომი განმტკიცების ამოცანა დაბეჯითებით მოითხოვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების — მისი საფუძვლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას**".

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ კომუნისტთა მაღალი ფორუმი დამეხმარა მე, როგორც პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს, დამენახა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პარტიული კოლექტივი, კომუნისტების მოღვაწეობა ამ თვენახევრის წინ, როცა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ამოცანები განვიხილეთ, გამართა საქმიანი სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკული საქმე აქვს ახლა თვითეულ ჩვენგანს.

ჩვენი კოლმეურნეობა ერთ-ერთი უმსხვილესი სასოფლო-სამეურნეო არტელია ხაშურის რაიონში. მის პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია ასი კომუნისტი. პარტიის წევრები მოღვაწეობენ იქ, სადაც ყველაზე მეტი სიძნელეა და სადაც ისინი ყველაზე მეტად არიან საჭირო. მუშაობენ მექანიზატორებად, მწველავებად, მემინდვრეებად. შარშან კოლმეურნეობის კომუნისტთა ოჯახების წილად მოდიოდა არტელში გამომუშავებული შრომადღეების ერთი მეოთხედი. საშუალოდ თვითეულმა კომუნისტმა ფიზიკურად გამოიმუშავა 500-მდე შრომადღე, რაც სამჯერ და მეტად აღემატება სავალდებულო მინიმუმის ციფრს.

ვინ არ იამაყებდა კომუნისტ ბ. ბარათაშვილის მებოსტნეობის ბრიგადის წარმატებებით! არ ყოფილა ბოსტნეულის არც ერთი სახე, რომლის მოსავლიანობის გეგმები კომუნისტური შრომის ამ ბრიგადას ორმაგად არ შეესრულებინოს. მან უხვად მისცა სამშობლოს პამიდორი, კომბოსტო, კიტრი, ხახვი, სტაფილო... წელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უხვ მოსავალს. შრომის კარგ მაგალითს იძლევიან ვაყის უბნის მემინდვრეობის ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები აკ. ნადირაძე, პ. ნოზაძე, ვ. აკოფოვი ხელმძღვანელობენ. მიწათმოქმედებს არც მეცხოველეები ჩამორჩებიან. დღითიდღე ამრავლებენ წარმატებებს შ. მოსიაშვილის, ს. ტატაევის მეცხოველეთა ბრიგადები, კომუნისტი მწველავები პ. მელიქოვა, ნ. ნადირაძე და სხვები.

ყველას ვერ ჩამოთვლი... სხვაც ბევრია ისეთი კომუნისტი, აგრეთვე უპარტიო, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც უხვი მოსავლის ოსტატებმა. ამან საშუალება მოგვცა შარშან დიდი გადამეტებით შეგვესრულებინა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა (შაქრის ჭარხლისა და ყურძნის გარდა) და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები, წარმატებით გაგვერთვა თავი სახელმწიფო დავალებებისათვის.

კარგად დავიწყეთ ახალი ხუთწლედის პირველი წელი. 1 ივნისისათვის დიდი გადამეტებით შევასრულეთ კვერცხის მიყიდვის წლიური და ხორცისა და რძის ნახევარი წლის გეგმები. უნდა აღინიშნოს, რომ წელს პირველ კვარტალში მეცხოველეობაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩვენს კოლმეურნეობას პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა. კომუნისტები, ყველა მშრომელნი აქედანვე უყრიან საფუძველს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვა აგროტექნიკურ ვადებში დამთავრდა. გაცხოველებით მიმდინარეობს ნათესების მეორე დამუშავება, ვენახებისა და ხეხილის ბაღების წამლობა. ამ საქმეშიც კომუნისტები პირად მაგალითს იძლევიან. წუნს ვერ შეიტან კომუნისტი მექანიზატორების ა. მოსიაშვილის, ვ. ნოზაძისა და სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხში.

წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში თავი შეირცხვინა კოლმეურნეობის გომის უბანმა, რომელსაც კომუნისტი პ. ქორიშვილი უძღვება. და ეს იმის გამო, რომ აქ ვერ შეძლეს განემტკიცებინათ დისციპლინა, მოეწესრიგებინათ შრომა, დაეინტერესებინათ კოლმეურნეები თავიანთი შრომის შედეგებით. ჩვენ ზოგჯერ ზედმეტ ლმობიერებას ვიჩენთ იმ კომუნისტებისადმი, ვინც ცუდად მუშაობს, არ ასრულებს პარტიის საწესდებო მოთხოვნებს. აგერ სამეურნეო წლის თითქმის ნახევარი გადის და კომუნისტი გრ. მოსიაშვილი ჯერაც კოლმეურნეობას არ გაჰკარებია. ასევე ითქმის კომუნისტ ი. ტეფნაძეზე, რომელიც ახალ მთვარესავით გამოჩნდება ხოლმე.

ჩვენ შევხვდით ამ ადამიანებს, ვესაუბრეთ, დავარიგეთ, მაგრამ ამან არ გაჭრა. როგორც ჩანს, შემდგომში მეტი ინდივიდუალური მუშაობა დაგვჭირდება ადამიანებთან. მუდმივ ურთიერთობაში უნდა ვიყოთ მათთან, ვესაუბრებოდეთ, ღრმად ვსწავლობდეთ მათს მოთხოვნებსა და ინტერესებს.

ვინ უარყოფს, რომ ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდების დიდი ნაწილი ნაყოფიერად შრომობს და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მაგრამ ამასთანავე დასამალავი არ არის, რომ შარშან ზოგიერთი მათგანი შრომისადმი ბატონკაცურ დამოკიდებულებას იჩენდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობა ითაკილა და მშობლებს აწვა ტვირთად. ვფიქრობ, კოლმეურნეობის, ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა დაგვეხმარება იმაში, რომ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდეს და თვითეულმა ახალგაზრდამ თავისი ადგილი იპოვნოს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში.

საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ პარტიული სიტყვა აღაფრთოვანებდეს და რაზმავდეს მუშაკებს სახელოვანი შრომისათვის, ხელს უწყობდეს სოცშეჯიბრების განვითარებას. ჩვენ, კომუნისტები, ახალი დიდი ამოცანების პროპაგანდისტები და აგიტატორები უნდა ვიყოთ. პარტორგანიზაცია თავის პირველი რიგის ამოცანად თვლის ყრილობის მასალების პროპაგანდას. ამ მიზნით კოლმეურნეებისათვის 100-მდე ლექცია და მოხსენება მოეწყო მარტო რაიონისა და სოფლის ძალებით. გამოცოცხლდა აგიტატორთა მუშაობა.

ყურადღება ეკონომიკისადმი, სწრაფვა ჩასწვდნენ საწარმოო მოვლენების თვით არსს, ნოვატორულ წამოწყებებს, მზარდი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი — ასეთია ახალ პირობებში პარტიული მუშაობის დამახასიათებელი ნიშნები.

ჩვენს კოლმეურნეებს კარგად ახსოვთ, როგორ ჩამორჩებოდა სოფელ აგარებში მომუშავე მემინდვრეობის მე-8 ბრიგადა. გარდატეხა დაიწყო მაშინ, როცა ამ უბანში კომუნისტი რ. ჯამბაზიშვილი გავგზავნეთ. პარტორგანიზაცია, კომუნისტები გაერკვნენ შინაგან შესაძლებ... ანაწილის თავიანთი ... ბისა და წარმოების სრულყოფის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო. პირველი შედეგებიც თვალსაჩინო იყო. შარშან ბრიგადამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალი მიიღო და წელს კიდევ უკეთეს მაჩვენებლებისათვის იბრძვის.

წელს განსაკუთრებით ვზრუნავთ იმისათვის, რომ არ დავუშვათ აგროტექნიკის მცირედი დარღვევაც კი. მაღალ დონეზე მოვაწყეთ ყველა კულტურის თესვა, ორგანიზებულად მიმდინარეობს ნათესების დამუშავება. უკანასკნელ წლებში ჩვენ თითქმის დავივიწყეთ ერთ-ერთი წამყვანი კულტურის — შაქრის ჭარხლის ნათესების კულტივაცია. წელს ეს აღარ მეორდება. მეტი ყურადღება ექცევა ნათესების რწყვას. ამ ერთი თვის წინათ ჩვენი მეჭარხლეები ადგილზე გაეცნენ გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თანამოსაქმეთა მდიდარ გამოცდილებას. ასეთი ნაბიჯის ფასი ყველა ჩვენგანმა იცის. წინათ მებოსტნეობაშიც ჩამოვრჩებოდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც წარმოებაში რუისბოლოელ მებოსტნეთა მუშაობის ხერხები დავნერგეთ, საქმე ადგილიდან დაიძრა.

ჩვენი პარტორგანიზაციის ინიციატივით კოლმეურნეობა თავის ხელში იღებს სოფლად კულტსაყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობას. პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი გვეხმარებიან კოლმეურნე კომუნისტებს ღრმად ჩავწვდეთ სოფლის ცხოვრების საარსებო საკითხებს.

პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა კომუნისტები, მშრომელი საბრძოლო პროგრამით შეაიარაღა. მათ გაგვიორკეცეს ძალა და რწმენა. ახლა საქმე ჩვენზეა!

გ. მაჭარაშვილი,
კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი.

კოლმეურნეობა „ზემო ქართლის" კომუნისტები მსჯელობენ მომავლის ამოცანებზე. მარცხნივ — კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი გ. მაჭარაშვილი.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ვინ გვესახელებს და ვინ გვარცხვენს

ვაყის საუბნო პარტორგანიზაცია მებრძოლი, სიცოცხლისუნარიანი კოლექტივია. 45 კომუნისტიდან დიდი უმრავლესობა წარმოებაში ავანგარდულ როლს ასრულებს. ისინი გადამწყვეტ უბნებზე შრომობენ. მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას წარვმართავთ ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად, ახალი ადამიანის აღზრდისათვის საბრძოლველად.

როგორც ცნობილია, სკკპ წესდება პარტიის თვითეული წევრისაგან მოითხოვს უჩვენოს კომუნისტური შრომის მაგალითი. მოდით ახლა ჩვენს სოფელში და ყველგან დაინახავთ კომუნისტთა შთაგონებული შრომის ნაყოფს. აბა ვის არ შეშურდებოდა მემინდვრეობის № ... ბრიგადის ხელმძღვანელის, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს დეპუტატის კომუნისტ პ. ნოზაძის ენერგია. ეს 40-45 წლის, ჯანღონით სავსე, პატიოსანი კაცი დილიდან საღამომდე ჯარასავით ტრიალებს და შრომაში პირად მაგალითს აძლევს თავისი ბრიგადის წევრებს. შარშან მან ოჯახით 1.172 შრომადღე გამოიმუშავა და დიდი ანაზღაურება ხვდა. არ... რომელ საზოგადოებრივ მეურნეობას არ დაამშვენებდა კომუნისტი ბრიგადირების ბ. ბარათაშვილისა და კ. განჯელაშვილის სახელები!

მაგრამ, რომ იტყვიან, თითო მახინჯი ყველა ოჯახშიაო, ეს ზედგამოჭრილია ჩვენი ბრიგადის წევრებზე გ. მოსიაშვილსა და ი. ტეფნაძეზე. მათ საუბნო პარტორგანიზაციის კრებაზე გამოვუძახეთ, მკაცრად შევახსენეთ და მოვთხოვეთ კეთილსინდისიერად ემუშავნათ, მაგრამ!.. ამ ამხანაგებზე ალბათ უფრო მკაცრი მსჯელობა მოგვიწევს.

როცა უბანი ერთ მეგობრულ ოჯახად ცხოვრობს, ნამდვილი ამხანაგური შემჭიდროება და ურთიერთდახმარება სუფევს, სიძნელეები საშიში არ არის.

ჩვენს მუშაობაში შემდგომად მთავარ ამოცანად დარჩება ადამიანთა დარაზმვა, მათთან მუშაობა, კომუნიზმის აქტიური შეგნებულ მშენებელთა აღზრდა. კომუნისტთა აქტივობის ამაღლებას ემსახურება ჩვენთან პარტიული კრებები, საგაზეთო და პროპაგანდისტული მუშაობა, პარტიული განათლების ქსელი. მაგრამ როცა ჩვენი პარტიული კრებების როლზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ფორმალიზმს ვერ ვაღწევთ თავს. მიღებული გადაწყვეტილებანი არცთუ იშვიათად ჰგვანან ერთმანეთს. ჯერჯერობით ნაკლოვანებებია სააგიტაციო მუშაობაშიც, თუმცა აგიტატორებიც საკმაოდ გვყავს და საუბრებსაც რეგულარულად მართავენ. ჩემი აზრით, მათი მუშაობის ნაკლი ის არის, რომ ზოგჯერ მარტო გაზეთების კითხვას სჯერდებიან. საჭიროა ... ყოველთვის აწყობდნენ დამაჯერებელ ციფრებს, ინფორმაციას აკეთებდნენ მნიშვნელოვან მოვლენებზე. ეს ახლოებს კომუნისტებს უპარტიოებთან, ხელს უწყობს პარტიული რიგების ზრდას.

სოფლის კომუნისტებს დიდი საქმე გვაკისრია. ყოველ ჩვენგანს მუდამ უნდა ახსოვდეს თავისი მაღალი მოვალეობა პარტიისა და ხალხის წინაშე, ახსოვდეს, რომ პირადად აგებს პასუხს სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის.

ს. ხარშილაძე,
ვაყის საუბნო პარტორგანიზაციის მდივანი.

გავწიოთ მაგალითით პროპაგანდა

ჩვენს სატრაქტორო ბრიგადაში 25 კაცია, ამათგან ყოველი მეორე ადამიანი კომუნისტია. პარტიამ და ხელისუფლებამ მექანიზატორებს მაღალნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა შეგვიქმნეს. ახლა მარტო ჩვენს კოლმეურნეობას რომ ტექნიკა აქვს, 30-იან წლებში მთელ მტს-ს არ გააჩნდა. ეს საშუალებას გვაძლევს მთელ რიგ დარგებში ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზმებით შევასრულოთ. საჭიროა მხოლოდ ენერგია და მონდომება, რაც არ გვაკლია. კომუნისტური შრომის მაღალი სახელი ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენც არაფერს ვზოგავთ.

„ჩვენგან ელიან მაგალითით პროპაგანდას", — ასწავლიდა კომუნისტებს ვ. ი. ლენინი. მაგრამ განა თვითეული ჩვენგანი ყოველთვის უჩვენებს ასეთ მაგალითს შრომასა და ცხოვრებაში?

ჩვენი ბრიგადის წევრებმა ჯერ კიდევ საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე ვიფიქრეთ, როგორ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას და გავაუმჯობესოთ ეკონომიური მაჩვენებლები. იმ დასკვნამდე მივედით, რომ აუცილებელია განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია. წელს ამ მეთოდით დიდ ფართობზე ვამუშავებთ სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ნათესებს. კომპლექსური გეგმები აქვთ სხვებსაც.

მექანიზატორები თვალყურს ადევნებენ მოწინავე თანამოსაქმეთა ყოველ სასარგებლო საქმეს და ვცდილობთ დავნერგოთ კიდევაც. ზოგჯერ ჩვენც ვიჩენთ თაოსნობას.

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ მუშაობაში ხელს გვიშლის სათადარიგო ნაწილების უქონლობა. რა ვქნათ იმ შემთხვევაში, როცა „სოფლტექნიკა" ვერ გვამარაგებს? როგორც მიმდინარე, ყველაფერი რიგზე არც სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების მუშაობაა.

გვინდა, რომ საერთო საქმისათვის სხვებსაც მეტად შესტკიოდეს გული, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე აღინიშნა, ზუსტად, ფართოდ და სრულფასოვნად სრულდებოდეს.

ა. აკოფოვი,
კოლმეურნეობის მექანიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ასი თვალი, ასი ყური...

კოლმეურნეობის სახალხო კონტროლიორებმა მოკლე ხნის მანძილზე მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მათ მეორე სახელიც — ასი თვალი და ასი ყური უწოდეს, რადგან ისინი სასოფლო-სამეურნეო არტელის ყოველ უბანს სწვდებიან.

სახალხო კონტროლის ჯგუფში გაერთიანებული ადამიანები (48 კაცი) თვითონ იძლევიან შრომისა და ცხოვრების კარგ მაგალითს. ჩვენი მტკიცე დასაყრდენია სახალხო კონტროლის საგუშაგოები, რომლებიც ყველა ბრიგადასა და ფერმაშია შექმნილი. სახალხო კონტროლიორთა დიდ ნაწილს კომუნისტები შეადგენენ.

ფართოა სახალხო კონტროლიორთა მოქმედების არე: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით მოწყობა და ადამიანებისათვის ზრუნვა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სახალხო დოვლათის გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჯგუფის ბიურომ გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა შეემოწმებინა კოლმეურნეობაში სარწყავი ქსელის მზადყოფნა. გამოირკვა, რომ ქსელი მოუმზადებელი იყო. არხებს გაწმენდა სჭირდებოდა, მუდმივი და დროებითი სარწყავი ქსელი გაუქმების პირას მიეყვანათ. ეს საკითხი ჯგუფის ბიურომ კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული კომიტეტის წინაშე დააყენა. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად მალე მდგომარეობა გამოსწორდა.

სატივის უბნის № 7 ბრიგადის სახალხო კონტროლის საგუშაგოს თავმჯდომარე გ. აივაზოვი გაზაფხულზე მინდვრად ასეთ ფაქტს წააწყდა: შაქრის ჭარხალს უხარისხოდ თესავდნენ — დაბალი იყო ჩათესვის სიღრმე და თესლის ერთი ნაწილიც მთლიანად მაღლა რჩებოდა. სახალხო კონტროლიორმა უმალვე სათესი გააჩერებინა და მანამდე არ დაუშვა სამუშაოდ, ვიდრე იგი წესრიგში არ მოიყვანეს.

სახალხო კონტროლიორთა ჩარევის შემდეგ ვაყის უბნის მეცხოველეობის ფერმაში საკვებისადმი უყაირათო დამოკიდებულების ფაქტები აღიკვეთა.

ასეთი მაგალითები სხვაც ბევრია.

მაგრამ ჩვენ მარტო დარღვევების, ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლას და დამნაშავეთა ძებნას როდი ვუნდებით, დროის დიდ ნაწილს ვახმართ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, ე. ი. ვცდილობთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ არ დავუშვათ დანაშაულობათა ჩადენა.

სახალხო დოვლათის გამრავლება და დაცვა კომუნისტის უპირველესი საწესდებო მოვალეობაა.

ვ. გელაშვილი,
კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარე.

მარტო სიტყვა როდი კმარა

მეცხოველეობა ჩვენი კოლმეურნეობისათვის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამიტომ იგი კომუნისტთა ყოველდღიური ზრუნვის საგანს შეადგენს. ეს შარშანდელი მაჩვენებლებიდანაც ჩანს, როცა მეცხოველეებმა კარგად დაამთავრეს სამეურნეო წელი. წელს უფრო კარგი სტარტი ავიღეთ. ფერმაში ყოველდღიურად 200-250 ლიტრით მეტ რძეს ვიღებთ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. კარგა ხანია შევასრულეთ კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა, აგრეთვე ხორცისა და რძის ნახევარი წლის გეგმები. ვასრულებთ პირუტყვის სულადობის გეგმებს ცალკეული სახეების მიხედვით. უფროსი ზოოტექნიკოსი თ. ჭაჭიშვილი, მწყემსები პ. აკოფოვი, პ. მელიქოვი, ვ. მაჭარაშვილი და სხვები მზრუნველობით უვლიან პირუტყვს, რის გამოც მისი სიკვდილიანობის შემთხვევები მინიმუმამდე შემცირდა.

მიღწევები გაცილებით მეტი გვექნებოდა, სათანადოდ რომ გვიწყობდნენ ხელს. რამდენი ხანია გვესმის და ჩვენ თვითონაც წარმოვთქვამთ ლამაზ სიტყვებს მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით სიტყვა სიტყვად რჩება. სხვა სამუშაოთა მექანიზაციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დღემდე ვერ შევძელით ვაყის მეძროხეობის ფერმაში არსებული საწველი აგრეგატის წესრიგზე მოყვანა. ფერმაში წყლის მიწოდებაც ფერხდება, არ ხდება საკვების შემზადება.

მომავალში მეტი უნდა ვიზრუნოთ ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე, რადგან პირუტყვის 60 პროცენტი ადგილობრივი ჯიშისაა, არ გვყოფნის ტიპური ბოსლები, ვერც საკვებ ბაზას დავიკვეხნით. კომუნისტებმა უნდა ვუჩვენოთ მაგალითი ყრილობის მასალების პროპაგანდის საქმეში. მე, როგორც აგიტატორი, ვასრულებ ამ საპატიო მოვალეობას, რაც ჩემს სერიოზულ პარტიულ დავალებად მიმაჩნია.

შ. მოსიაშვილი,
კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის № 1 ბრიგადის ხელმძღვანელი.

მასების ორგანიზატორები

ზაფხული აქაც თავის გამარჯვებას ზეიმობს. ირგვლივ სიმწვანეა და ეს ფერი სწორედ წლის ამ დროს ჭარბობს. შორს კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები მოჩანს, ახლოს კი — თრიალეთის ქედი, რომელთანაც თითქოს სულმოუთქმელად მიირბენ.

მხარი მხარს გადაუბამთ გორაკებზე შეფენილ სოფლებს: ხცისს, წრომს, ღართას, ალექსანდრეწყაროს, სარტყელას, თხილნარას, ხელებს, უღელთს, ხავლეთს, ვაკეპანტებს, კრისხევს, კოდისწყაროს, ქაშვეთს, თავგვთს, რბონას, დამხრეულას...

ავტომანქანით მივდივართ სოფელ ვაყაში, კოლმეურნეობა „ზემო ქართლში", რომელიც მდინარე ფრონის ხეობაში გაშლილა. გავიარეთ ოსიაური, აგარები, გომი. გზა ცის დასალიერამდე გატყორცნილ ველზე გადის. მარცხნივაც და მარჯვნივაც პურის ზღვა ბიბინებს. რამდენიმე დღეც და 1.050 ჰექტარზე შემოსული ყანების ასაღებად მოვლენ ადამიანები, ისინი, ვინც თესა და უხვი მოსავალი მოიყვანა. მიწათმოქმედნი გულმოდგინედ ამუშავებენ ნათესებს. ადრე დილიდან გვიან საღამომდე ბაღ-ვენახებში ტრიალებენ.

კარგი განწყობილებით შრომობენ კოლმეურნეობა „ზემო ქართლის" მშრომელები. პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა განამტკიცა მათი რწმენა და გაამრავლა მათი ძალები. წელს საქმე გაცილებით უკეთ მიდის, ვიდრე შარშან. მაგრამ არც შარშანდელ წელს ემდურიან კოლმეურნეები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანს დაეტყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა კეთილსასურველი გავლენა. კოლმეურნეობის შემოსავალი წინა წელთან შედარებით 100 ათასი მანეთით გაიზარდა. ასი ათასი მანეთი კი ფულის ძველი მასშტაბით ერთ მილიონს შეადგენს. ახლა მოსავალი: მარტო სიმინდი საშუალოდ ჰექტარზე 16 ცენტნერით იმაზე მეტი მიიღეს, რასაც გეგმა ითვალისწინებდა, ხოლო ბოსტნეული — 100 ცენტნერით მეტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა. შარშან შრომადღეზე განაწილდა 4,7 კილოგრამი მარცვლეული, აგრეთვე სხვა პროდუქტები და ფული.

უკანასკნელ წლებში მთლიანად გარდაიქმნა კოლმეურნეობაში გაერთიანებული სოფლები: ვაყა, ქვემო ახვისი, ხიდისყური, გომი, აგარები, პატარა და დიდი სატივე. გომის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ლურსმანაშვილი სიამოვნებით მოგვითხრობს ამ ცვლილებათა შესახებ: — 10-15 წლის წინათაც კი ამ სოფლებში ყავრით დახურული სახლები იყო, მაგრამ ახლა? ნახავდით — ასეთ საცხოვრებელ ბინებს ინჟინრები თუ დააპროექტებენ. კოლმეურნეები ყოველწლიურად 80-85 ახალ სახლს აშენებენ. აშენებენ სწრაფად, მკვიდრად, ლამაზად. ყავარი და კრამიტი ისტორიას ბარდება. კოლმეურნეობის წევრთა კულტურასა და ყოფას ემსახურება ორი საშუალო, ერთი რვაწლიანი და ერთიც დაწყებითი სკოლა, ოთხი კლუბი, ამდენივე ბიბლიოთეკა, 7 მაღაზია, პურის საცხობი, აფთიაქი, ვეტამბულატორია, ორი საექიმო და სამი საფერშლო-სამეანო პუნქტი, აბანო, ელექტროწისქვილი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები. სოფელ ვაყაში აგებენ კლუბ-კინოთეატრის შესანიშნავ შენობას, რომელსაც საექსპლოატაციოდ ამ წლის ბოლოს გადასცემენ.

ელექტრობა, რადიო, ტელევიზია, ტელეფონი ფართოდ დამკვიდრდა ადამიანთა ცხოვრებაში.

წარმატებას იმით აღწევენ, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს თავისი ძალების სწორად განაწილებისათვის, უნარიანად ზრდის კადრებს, ეყრდნობა აქტივს, სოფლის მოწინავე ადამიანთა მდიდარ გამოცდილებას, ცოდნასა და ინიციატივას. კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი გ. მაჭარაშვილი კომიტეტის ყველა წევრთან ერთად ძალებს არ ზოგავს, რომ კომუნისტები ყოველ უბანზე ასრულებდნენ მოწინავე მებრძოლის როლს. და ასეც არის! მათი დიდი უმრავლესობა კომუნისტური შრომის მაგალითს იძლევა. შარშან თვითეულმა კომუნისტმა საშუალოდ 500 შრომადღე გამოიმუშავა. სამშობლომ ღირსეულად დააფასა „ზემო ქართლის" მშრომელთა თავდადებული შრომა. 12 მოწინავემ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდ ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები დაიმსახურა. ამათგან რვა კომუნისტია.

მაგრამ როცა აქაური კომუნისტები თვალს ავლებენ განვლილ გზას, თავიანთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც არ ავიწყდებათ. კარგად ახსოვთ გასული წლის მკაცრი გაკვეთილი, როცა სამშობლოს 500 ტონაზე მეტი შაქრის ჭარხალი და 60 ტონა ყურძენი დააკლეს. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ შაქრის ჭარხლის ნათესებსა და ვენახებს სათანადოდ ვერ მოუარეს. სამწუხაროდ, შაქრის ჭარხლის დაბალი მოსავალი სწორედ იმ ბრიგადებმა მიიღეს, რომლებსაც კომუნისტები დ. გაფრინდაშვილი და ვ. გელაშვილი ხელმძღვანელობენ. კოლმეურნეობაში არის მიწათსარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევები, ზოგჯერ მინერალური და ორგანული სასუქების შეუფასებლობას იჩენენ, ნაკლოვანებებია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაში.

— შარშან ყველას ისე რომ ემუშავნა, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. კუჟაძე, — როგორც აკ. განჯელაშვილის ბრიგადამ იშრომა, არტელი დამატებით მარტო 1.600 ტონა შაქრის ჭარხალს მიიღებდა.

ასეთი რეზერვები ყველგან არის!

კოლმეურნეობა „ზემო ქართლს" გადაწყვეტილი აქვს წელს სამშობლოს მისცეს გაცილებით მეტი პროდუქტები, ვიდრე შარშან, ამასთან მნიშვნელოვნად შეამციროს მათი თვითღირებულება. მოსავლიანობას გაზრდიან შარშანდელთან შედარებით: მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლისას — 10 პროცენტით, ბოსტნეულისა და კარტოფილისას — 15 პროცენტით; რძის წარმოებას გაადიდებენ 15, ხოლო კვერცხისას — 20 პროცენტით, 5-დან 10 პროცენტამდე შეამცირებენ პროდუქტების თვითღირებულებას.

როგორია უფრო შორეული პერსპექტივა? ხუთწლედის მანძილზე ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფართობი 248 ჰექტარით გაიზრდება და ათას ჰექტარს მიაღწევს. დახვავდება მინდვრის ბარაქა, წამოვა რძის ახალი ნაკადულები.

კოლმეურნეობა „ზემო ქართლის" კომუნისტებმა კარგად იციან, რომ წლევანდელი წელი სოფლის მშრომელთა ... ველი საბრძოლო გამოცდაა. ამიტომ ის... ნი სასოფლო-სამეურნეო არტელის ... ლა მშრომელთან ერთად დიდ მონდ... ბით შეუდგნენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. ... ბრიგადებში სერიოზულად მუშაობენ ... წათმოქმედების კულტურის ასამაღლ... ლად, ყველა ფართობის დათესვა მაღ... მოსავლიანი თესლით, პერსპექტიული ... შებით. ახლა მთელი ძალები გადას... ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავ... ბის გულმოდგინედ დამუშავებაზე. კ... მეურნეები ყოველმხრივ მომზადებ... ხვდებიან კარსმომდგარ ალოობას და ... დაწყვეტილი აქვთ 10 კალენდარულ დ... ში აიღონ თავთავიანი მარცვლეულ კ... ტურათა მოსავალი.

წინათ პირველადს პარტორგანიზაცი... უჯრედს უწოდებდნენ. იგი მართლაც ... ბრძოლი, სისხლსავსე, სიცოცხლის... რიანი უჯრედი უნდა იყოს. ეს ყოველ... თვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებ... კი ახლა, როცა ჩვენმა ხალხმა ხუთწ... დისათვის ლაშქრობა დაიწყო და ... მიჯნებზე გადის.

გ. ზუპაკიშვილი.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, შაბათი,
18 ივნისი, 1966 წ.

ნახევარი საუკუნის ქარხანა

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანას ორმოცდაათი წელი შეუსრულდა.

1915 წელს ამიერკავკასიის ყოფილ მე-2 მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმებში კავკასიის ფრონტის ავტოპარკის მომსახურებისა და რემონტისათვის დაარსდა ზურგში მოქმედი ავტოშემკეთებელი კუსტარული სახელოსნო. იმხანად სახელოსნოში მხოლოდ 45 ხელოსანი მუშაობდა და რამდენიმე სახარატო ჩარხი იდგა.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლის მარტში, მთელი რიგი საწარმოების ნაციონალიზაციის საფუძველზე ავტოსახელოსნო ცენტრალურ ავტოსექციას გადაეცა და ეწოდა სახელოსნო № 3. ამ დღიდან დაიწყო მისი ინტენსიური ზრდა. 1923 წელს კი იგი ქარხნად გადაკეთდა.

ძნელი ჩამოსათვლელია, ამუშავების პირველი დღიდან მოყოლებული აქამდე რამდენი სახის პროდუქცია დამზადდა მის საამქროებში. გარდა ავტომობილების შეკეთებისა, რაც 1925 წელს შეწყდა, ქარხანა რემონტს უკეთებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, აკეთებდა რკინიგზის დრეზინებს, ოწინარებს, სათესებს, გუთნებს, ურიკებს, აბრეშუმის ძაფსახვევ დაზგებს, რომლებიც ადრე იტალიიდან შემოგვქონდა, სხვადასხვა სახის სასწორებსა და გირებს, მაღალი ძაბვის გამცემი ხაზის ანძებსა თუ ჩვეულებრივ საწოლებს საავადმყოფოებისა და მოსახლეობისათვის, სპილენძსადნობი ქარხნებისათვის დიდგილოტინურ მაკრატლებს, ლიფტებს და ა. შ. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ადრინდელი კუსტარული სახელოსნო, რომელიც ამჟამად საქართველოში მოქმედ მრავალ მსხვილ საწარმოთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, მრავალი სახის ტექნიკურად რთულ მანქანა-დანადგარებს უშვებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კვების მრეწველობისათვის, ძირითადად, ღვინის პირველადი დამუშავებისათვის განიზნული მანქანა-დანადგარები, ასეთია უწყვეტი მოქმედების წნეხი, რომელიც საათში ხუთ ტონა ყურძენს ამუშავებს, ყურძნის ცენტრიდანული დამმარცვლავი, ღვინის ტუმბოები და სხვ.

ამათ გარდა, ქარხანა ამზადებს რძის მათარების სარეცხ მანქანებს, ბოთლის თავდამცობ ავტომატებს, ჩაის სასხლავ უნივერსალურ აპარატებს და კიდევ რამდენიმე სხვა სახის მსხვილმან თუ წვრილმან სამეურნეო მოწყობილობას.

სახელოვანი მაჩვენებლებით გაიცილა ქარხანამ განვლილი შვიდწლედი. მრავალთა გარდა, ამას ისიც მეტყველებს, რომ აგერ უკვე რამდენი წელია ქარხანას რეკლამაცია არ მიუღია, რაც მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის თავდადებული შრომის მეოხებით არის მიღწეული — ამჟამად წარმოებული მრავალი დასახელების პროდუქცია მთლიანად და სრულყოფილად არის ატესტებული.

ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშები წლითიწლობით აუმჯობესებენ პროდუქციის ერთი რომელიმე დეტალის უფრო იაფითა და სრულყოფილით შეცვლის ხარჯზე. ქარხანას გათვალისწინებული აქვს ყურძნის ცენტრიდანული დამმარცვლავი ლილვიანი დამმარცვლავით შეცვალოს. ეს ახალი აგრეგატი წელს გამოიცდება, გაისად კი სერიულად გამოვუშვებთ. ახალი და ძველი აგრეგატის წარმადობა ერთნაირია, მაგრამ ყურძნის ლილვიანი დამმარცვლავი იოლი გასაკეთებელია და იაფიც დაგვიჯდება.

არანაკლებ სასახელო მაჩვენებლებით დაიწყო ქარხნის კოლექტივმა ახალი ხუთწლედი. პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია ნომენკლატურის სრული დაცვით. 1966 წლის ხუთი თვის საერთო-სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,2 პროცენტით არის შესრულებული, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 35 ათასი მანეთის პროდუქცია. შესრულებულია აგრეთვე ნაწარმის რეალიზაციის გეგმა.

ჩვენი ქარხნის ნაწარმი იგზავნება თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ძირითადად მოლდავეთში, რსფსრში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და სხვა რესპუბლიკებში.

სულ 1966 წელს გამოშვებული იქნება 2.820.000 მანეთის პროდუქცია, რაც ხუთწლედის ყოველ წელს შესაბამისად გაიზრდება. მაგალითად, განზრახული გვაქვს 1967 წელს, გამოვუშვათ 3 მილიონი მანეთის, 1968 წელს—3.550.000 მანეთის, 1969 წელს — 4 მილიონი მანეთის, ხოლო 1970 წელს — 4,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამ სასახელო და პასუხსაგები ამოცანის შესრულებაში დიდად დაგვეხმარება ქარხნის მომავალი რეკონსტრუქცია, რომლის დაწყება გაისისათვის არის განზრახული. რეკონსტრუქციის საკითხი განიხილა მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის საკავშირო სამინისტრომ. 1967 წლისათვის განზრახულია № 2 ამწყობი საამქროს ახალი კორპუსის აშენება და საწნეხ-დამამზადებელი საამქროს რეკონსტრუქცია. ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია 1970 წლამდე უნდა დამთავრდეს.

სასურველი იქნებოდა სამსხმელო საამქროც რომ გაფართოებულიყო, რაც რეკონსტრუქციის გეგმით გათვალისწინებული არ არის. ამ საამქროს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქარხნისათვის. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან ვიღებთ ლითონის სხმულებს, რაც მუშაობას ართულებს და პროდუქციასაც აძვირებს. ქარხანას ადრევე ჰქონდა თავისი სამსხმელო საამქრო. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭოების ჩამოყალიბების ეტაპზე საამქრო დაიხურა და ქარხანა მომარაგების კოოპერირებულ წესზე გადავიდა. დაგვრჩა მცირე უბანი, სადაც მხოლოდ ბრინჯაო და ცოტაოდენი თუჯი ისხმება საკუთარი საჭიროებისათვის, რაც, ცხადია, ქარხნის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს.

დიდ საწარმოო ეფექტს მოგვცემს წარმოების დაგეგმვის, მართვისა და სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასვლა, რაც სკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დაგვაკისრა. ეს ჩვენმა ქარხანამ 1968 წლამდე ეტაპობით უნდა განახორციელოს. ჯერჯერობით ხდება საამქროების გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე. ეს ღონისძიება საშუალებას მისცემს საამქროს უფროსს შეამოწმოს მუშაობა ფულადი გამოსახულებით. იგი ეცდება ეკონომია მიიღოს ყველა მონაცემის მიხედვით. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა წელსვე, მეოთხე კვარტალისათვის არის განზრახული.

კარგ სტიმულს აძლევს ქარხნის მთელ კოლექტივს მოწინავე მუშაკთა გამოცდილება და თავდადებული შრომა. მოწინავეთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ხარატ-გამჩარხავი გ. მიმინოშვილი, ხარატი მ. აკოფოვი, გამჩარხავი შ. მაისურაძე, მღარავი ს. ავაქოვი, ზეინკლები ვ. მაზმიშვილი და მ. ხეჩუაშვილი, რომლებიც გეგმას სისტემატურად 120 პროცენტით და მეტით ასრულებენ.

ქარხანაში ბეჯითად მუშაობს ნოვატორთა და რაციონალიზატორ-გამომგონებელთა დიდი ჯგუფი. 419 რაციონალიზატორისა და გამომგონებლის 815 წინადადებიდან და გამოგონებიდან შვიდწლედის განმავლობაში დანერგილმა 407 წინადადებამ და ორმა გამოგონებამ ქარხანას 699.100 მანეთი წლიური ეკონომია მისცა. მარტო 1966 წლის პირველ კვარტალში 21 რაციონალიზატორის 32 წინადადებიდან უკვე დაინერგა 18 წინადადება, რამაც 6.400 მანეთი დაგვიზოგა.

წარმოების ნოვატორები და მოწინავენი, მთელი საწარმოო კოლექტივი, ინჟინერ-ტექნიკოსთა გამოცდილი ბირთვი, ქარხნის პარტიულ-პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი და ადმინისტრაცია კვლავაც ბეჯითად იშრომებენ პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განსახორციელებლად.

დ. ჟორჟოლიანი,
თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

სურათზე: თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშაკთა ჯგუფი (მარცხნიდან) კონსტრუქტორი ნაზი ჟიჟია, შეგამჩარხავე შოთა თომაშვილი, მღარავი სერგი ავაქოვი, წარმოების უფროსი ლეონ ალანაკიანი, ზეინკლები სერგი ჩახიძე, ივანე ქრისტესაშვილი, ნელი მაკაროვა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საერთაშორისო ცხოვრება

წერილი ტაშკენტის მოსახლეობისადმი

ჟენევა, 17 ივნისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიის 350 მონაწილემ გუშინ წერილი გაუგზავნა ქალაქ ტაშკენტის მოსახლეობას. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია, ნათქვამია წერილში, მხურვალედ მიესალმება საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქის მამაც მოქალაქეებს, რომლებმაც გაუძლეს მძიმე ბრძოლას სტიქიის ამბოხებულ ძალებთან, გმირულად იბრძვიან მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად.

80 ქვეყნის მშვიდობის მომხრენი, რომლებიც ამ სესიაში მონაწილეობენ, დარწმუნებული არიან, რომ ქალაქი ტაშკენტი, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში იმით, რომ უზრუნველყო ინდოეთისა და პაკისტანის ხელმძღვანელთა ისტორიული თათბირის წარმატება, უფრო დამშვენდება, უფრო მეტ სიხარულს მიანიჭებს თავის მცხოვრებლებსა და მეგობრებს მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ქალაქ ტაშკენტის მოსახლეობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას ვუსურვებთ კეთილდღეობას და ახალ წარმატებებს საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში, ნათქვამია დასასრულ წერილში.

აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები

ჟენევა, 17 ივნისი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაზე გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმისა და სამდივნოს არჩევნები. ხელახლა აირჩიეს პრეზიდიუმის 45 წევრი. მათ შორის ა. კორნეიჩუკი და ი. ერენბურგი (სსრ კავშირი), ი. ბლუმი (ბელგია), გ. ანდრეევი (ბულგარეთი), პასტორი მოხალსკი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რ. ანდრიამანჯატო (მადაგასკარის რესპუბლიკა), ე. კოტონი (ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია), ნ. კურტისი (ნიგერია), რ. ჩანდრა (ინდოეთი), ჯ. ენდიკოტი (კანადა), ო. პობლეტი და ესპანოსა (ჩილე), ლ. საიანი (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია), ხ. მარინელიო (კუბა), რ. გრუო (საფრანგეთი), ლ. ინფელდი (პოლონეთი), ი. მაცეკი (ჩეხოსლოვაკია) და სხვები.

სტუმრად ტოკიოში

ტოკიო, 17 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით. დელეგაცია ჩამოვიდა იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მოწვევით.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ოქმი

პარიზი, 16 ივნისი. (საკდესი). პარიზში ხელი მოაწერეს ოქმს იზოტოპების წარმოებაში საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის შესახებ.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ გაცვლიან ინფორმაციას იზოტოპების წარმოების პროცესების შესახებ, რომლებიც შემუშავებულია საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირში.

გარდაიცვალა მანუელ ნავარო ლუნა

ჰავანა, 16 ივნისი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, აქ 71 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი კუბელი პოეტი მანუელ ნავარო ლუნა.

ნავარო ლუნა დაიბადა 1894 წელს ქალაქ პოველიანოსში. მისი პირველი ლექსების წიგნი „კვალი" გამოვიდა 1928 წელს. თავის პოეზიაში ლუნა უმღეროდა უბრალო კუბელ გლეხს, პროტესტს აცხადებდა მისი ულმობელი ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ სახალხო რევოლუცია გაიმარჯვებდა კუბაში 1959 წელს, ნავარო ლუნა კომუნისტი გახდა და მთელ თავის ძალღონეს, მთელი თავისი პოეზიის მგზნებარებას ახმარდა სამშობლოს თავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლის სამართლიან საქმეს. ბევრი ძალღონე და ენერგია მოახმარა მან მსოფლიო მოძრაობას მშვიდობისათვის.

ნავარო ლუნა საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი იყო. იგი უკანასკნელად მოსკოვს ეწვია 1965 წელს, როცა მეთაურობდა პირველი მაისის დღესასწაულზე ჩამოსულ კუბის დელეგაციას.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში

ჰავანა, 16 ივნისი. (საკდესი). ჰავანის რევოლუციურმა ტრიბუნალმა სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯა ანჰელ მარია ბეტანკურ კუეტოს. მიმდინარე წლის 27 მარტს მან მოკლა კუბის საავიაციო კომპანიის „კუბანა დე ავიასიონის" მფრინავი და ეკიპაჟის წევრი „ილ-18" თვითმფრინავისა, რომლის გატაცებასაც ცდილობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაქცევად. დღეს განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიესაჯათ დანაშაულის მონაწილეებს.

ამერიკის მოსახლეობა

ვაშინგტონი, 16 ივნისი. (საკდესი). ამერიკის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ მიმდინარე წლის 1 მაისისათვის შეადგინა 195.530 ათასი კაცი.

სალი აზრისა და მშვიდობის გზით

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კუვ დე მიურვილის ინტერვიუ საბჭოთა რადიოსა და ტელევიზიისადმი

15 ივნისს საღამოს საბჭოთა კავშირის რადიომ და ტელევიზიამ გადმოსცეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კუვ დე მიურვილის ინტერვიუ იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირში ვიზიტად ჩამოდის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი.

კუვ დე მიურვილმა თქვა, უკვე ის ფაქტი, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, გენერალი დე გოლი რამდენიმე დღის შემდეგ მიდის მოსკოვში საბჭოთა მთავრობასთან საპასუხო ვიზიტად, ადასტურებს, და მკაფიოდაც ადასტურებს, რომ ამჟამად საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს კარგი ურთიერთობა აქვთ. თვით ამ ვიზიტის ფაქტი ნიშნავს აგრეთვე, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, უეჭველად, უფრო გაუმჯობესდება.

ჩვენი აზრით, თქვა შემდეგ მინისტრმა, ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარება, ანუ იმ პრობლემათა გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენს წინაშეა დასახული ჩვენი კონტინენტის ფარგლებში, დამოკიდებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს დამოკიდებულია ყველა ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციასა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებაზე.

ვფიქრობ, რომ მხოლოდ ასეთი პოლიტიკური კლიმატის პირობებში იქნება შესაძლებელი დისკუსიები და, შესაძლოა, იმ დიდ პრობლემათა გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას, ასეთებია გერმანიის პრობლემა, ევროპის უშიშროების პრობლემა.

ამ დიდ საქმეში ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, შეუძლიათ მეტად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულონ. უმთავრესად, ჩემი აზრით, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ თავიანთი მაგალითით და ხელი შეუწყონ იმას, რომ მეგობრები — იმის თქმა არ მინდა, რომ ეს იქნება შესაბამისად თქვენი და ჩვენი მეგობრები, არამედ სწორედ მათი მეგობრები გადმოიბირონ გზაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, სალი აზრისა და მშვიდობის გზაა.

შეეხო რა საერთოევროპული თანამშრომლობის საკითხს, მინისტრმა განაცხადა: გენერალ დე გოლისა და პირადად ჩემი აზრით, ეს ნიშნავს, რომ ევროპის ყველა ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაცია მართლაც განხორციელდება. ეს ნორმალიზაცია სულაც არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ სიძნელეებზე, რომელსაც ქმნის ევროპაში სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმების არსებობა. ჩვენი აზრით, ამ ფაქტს მნიშვნელობა არა აქვს საერთაშორისო ურთიერთობისათვის. მე ვლაპარაკობ ნორმალიზაციაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობის პატივისცემისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

შემდეგ კუვ დე მიურვილმა თქვა, რომ სიამოვნებით გამოჰყვება გენერალ დე გოლს მოსკოვში. მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სტუმართმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხია. და იმასაც ვიტყოდი, რომ ჩვენთვის, ფრანგებისათვის, ისინი მეგობრები არიან.

ძველთაგან, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნები ერთმანეთს იცნობენ, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ყოველთვის არსებობდა ურთიერთსიმპათია. როგორც ადამიანური, ისე პირადი თვალსაზრისით ყოველთვის გვქონდა კარგი, ზოგჯერ მეტად მეგობრული ურთიერთობა. ვფიქრობ, რომ ყველა უბედურებისა და ტანჯვა-წამების შემდეგ, რომლებიც ჩვენ ამ ბოლო 25 წელიწადში გადავიტანეთ, ეს სიმპათია ჩვენს ქვეყნებს შორის ისეთივე ძლიერია და სავსებით ბუნებრივია, რომ ახლა ჩვენი ხალხები ერთმანეთს მიაპყრობენ მზერას. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ეს ჩვენ გვეხება, სწორედ ამის შეგნებით, ასეთი რწმენით მოვდივართ ახლა საბჭოთა კავშირში და უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, მოსკოვში. (საკდესი).

უცხოეთის პრესაში

უცხოეთის პრესა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის მომავალ ვიზიტს საბჭოთა კავშირში. ბევრ გაზეთს მოჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრის კუვ დე მიურვილის ინტერვიუ საბჭოთა რადიოსა და ტელევიზიისადმი ამ ვიზიტთან დაკავშირებით. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისადმი მიძღვნილ სტატიაში, საფრანგეთის საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი „ეკო" აღნიშნავს, რომ „ფართოდ ემთხვევა ერთმანეთს საფრანგეთისა და სსრ კავშირის შეხედულებანი". „ლუმანიტე" აქვეყნებს თავისი მთავარი რედაქტორის რენე ანდრიეს პასუხს რადიოსადგურ „ევროპა-1"-ის კითხვებზე. ანდრიემ, კერძოდ, განაცხადა: „საფრანგეთში ვერავინ ვერ ბედავს გაილაშქროს ამ დიპლომატიური ინიციატივის წინააღმდეგ — ამდენად თავისთავად ცხადია, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ინტერესები იდენტურია. ჩვენ ვიწონებთ გენერალ დე გოლის საგარეო პოლიტიკის დადებითს ასპექტებს".

ეჭვები არ გაფანტულა

ვაშინგტონი, 16 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის ოფიციალურმა ვერსიამ, რომელიც ერთ დროს ჩამოყალიბებული იყო უორენის კომისიის მოხსენებაში, ბევრი ეჭვი აღუძრა ამერიკელებს. დღემდე ზოგიერთი მათგანი ცდილობს ობიექტურად გაერკვეს „საუკუნის დანაშაულის" ვითარებაში.

ასეთი კვლევის შედეგია წიგნი სათაურით „შელამაზება არასასიამოვნო მოვლენის დაფარვის მიზნით — უორენის მოხსენების ანალიზი". მისი ავტორი — ჟურნალისტი და იურისტი ჰაროლდ ვეისბერგი ერთ დროს მუშაობდა გამომძიებლად და კონსულტანტად ამერიკის სენატში. იგი აცხადებს, რომ, მიუხედავად უორენის კომისიის შექმნისა და მისი მოხსენების გამოქვეყნებისა, კენედის მკვლელობის ვითარება პატიოსნად არ გამოუძიებიათ და არ გაუცხადებიათ ამერიკელი ხალხისათვის.

ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტის გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ავტორი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი კენედი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. მას დაუმტკიცებლად მიაჩნია გამოძიების ფედერალური ბიუროსა და უორენის კომისიის ოფიციალური ვერსია, რომ პრეზიდენტი თითქოს მოკლა ერთმა კაცმა — ოსვალდმა. მოხსენებას არ მოუცია, წიგნის ავტორის აზრით, დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე, რამდენჯერ ესროლეს კენედის და რა მიმართულებებით.

წიგნში მოყვანილია გრძელი ნუსხა კითხვებისა კენედის მკვლელობის ვითარების შესახებ, რომლებზეც დღემდე არ გაუციათ პასუხი. ეს არის, კერძოდ: რატომ გამოცხადდა „საიდუმლოდ" და რატომ 75 წლის განმავლობაში ვერ იხილავს მზის სინათლეს ნაწილი მასალებისა, რომლებიც დაკავშირებულია მკვლელობასთან, რატომ გაუკეთეს მნიშვნელოვანი „რედაქტირება" განსვენებული პრეზიდენტის ცხედრის სამედიცინო ექსპერტიზის მონაცემებს; რატომ არის დაფარული უორენის კომისიის მოხსენებაში იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ცარიელ ვაზნებზე, რომლებიც იპოვეს წიგნსაცავის მეექვსე სართულზე, საიდანაც, როგორც მოხსენება ამტკიცებს, ისროდნენ, აღმოჩნდა კვალი, რომელიც მოწმობს, რომ ტყვიები არ შეიძლება ყოფილიყო ნასროლი შაშხანით, რომლითაც თითქოს ესროლეს კენედის; რატომ არ მოისურვა გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოერკვია, რა წყაროდანაა მიღებული ვაზნები, რომლებიც პრეზიდენტის მოსაკლავად გამოიყენეს.

წიგნის ავტორი მოითხოვს მოეწყოს პრეზიდენტ კენედის მკვლელობის ვითარების პატიოსანი, სრული და მიუკერძოებელი გამოძიება, მიუხედავად იმისა თუ როგორი იქნება მისი შედეგები. მისი წინადადებაა, რომ ეს კონგრესმა იკისროს.

გაასამართლებენ...

ათენი, 16 ივნისი. (საკდესი). საბერძნეთის უმაღლესი სასამართლოს პროკურორმა გუშინ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ სალონიკში უნდა მოეწყოს სასამართლო პროცესი გ. ლამბრაკისის მკვლელობის საქმის გამო.

გ. ლამბრაკისი, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ცნობილი ბერძენი მებრძოლი, სალონიკში მოკლეს 1963 წლის მაისში. მკვლელობის თანამონაწილეობაში ბრალი ედება სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ პირს, მათ შორის ჟანდარმერიის ყოფილ ოფიცრებს.

ვაშინგტონი აშინებს

ვაშინგტონი, 16 ივნისი. (საკდესი). შეერთებული შტატები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ დააშინონ უცხოეთის ის სახელმწიფოები, რომლებიც უარს ამბობენ მხარი დაუჭირონ ვაშინგტონის პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ გუშინ მიიღო უცხოეთის სახელმწიფოებისადმი ამერიკის დახმარების კანონპროექტის შესწორება, რომლითაც აკრძალულია ეკონომიური და სამხედრო დახმარების გაწევა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც უარს ამბობენ შეწყვიტონ ვაჭრობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

კონგრესმენებმა ამით როდი შეზღუდეს თავიანთი ცდები ამერიკის დახმარება გადააქციონ სხვა ქვეყნების დაშინებისა და მათზე ზეგავლენის იარაღად. იმავე კომისიამ დღეს მიიღო კიდევ ერთი შესწორება, რომლითაც აკრძალულია დახმარების გაწევა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ოფიციალურ წარმომადგენლებს გზავნიან კონფერენციაზე, სადაც, თითქოს, „აწყობენ სხვა ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ აქციების გეგმებს". ეჭვი არ არის, რომ ეს შესწორება პირდაპირი შანტაჟია ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოს მიმართ, რომელთა წარმომადგენლები დაესწრნენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველ კონფერენციას, რომელიც ამას წინათ ჰავანაში გაიმართა.

რუმინეთ-ჩინეთის მოლაპარაკება

ბუქარესტი, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც აჟერპრესის სააგენტო იუწყება, დღეს დაიწყო რუმინეთისა და ჩინეთის პარტიებისა და მთავრობების დელეგაციათა ოფიციალური მოლაპარაკება.

რუმინეთის დელეგაციის შემადგენლობაში არიან რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პრეზიდიუმის წევრები, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. ბოდნარაში და სხვა ოფიციალური პირნი.

ჩინეთის დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და სხვა ოფიციალური პირნი.

ჯონსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს, რომელშიც განაცხადა, რომ იგი „გაამხნევა" იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირი ინტერესით მოეკიდა საერთაშორისო შეთანხმებას მთვარისა და სხვა ციურ სხეულთა მშვიდობიანი კვლევის შესახებ. ჯონსონმა გამოთქვა იმედი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მალე მიაღწევს პროგრესს ამ საკითხში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეომრები და ხალხი ფხიზლად იცავენ თავიანთი სამშობლოს საჰაერო საზღვრებს. აგრესორის იმ თვითმფრინავების რიცხვი, რომლებიც მათ ჩამოაგდეს, ათასს უახლოვდება.

სურათზე: იწვის ამერიკის თვითმფრინავი f-101-ი, რომელიც ნგე ანის პროვინციის კუინ ლეუს რაიონში ჩამოაგდეს. მფრინავი, რომელმაც მოახერხა კატაპულტის საშუალებით გადმომხტარიყო, ტყვედ წამოიყვანეს.

ფოტო გია-საკდესისა.

თანამგზავრები ფრენას განაგრძობენ

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. იაბროშნიკოვი გადმოგვცემს:

მატარებელ რაკეტა „ტიტან-3"-ის გაშვების 8 წუთის შემდეგ (რაკეტაზეა 8 თანამგზავრი) რაკეტის მესამე საფეხური თანამგზავრებთან ერთად გავიდა შუალედურ ორბიტაზე, რომლის აპოგეაა 115 მილი და პერიგეა — 104 მილი. შემდეგ განმეორებით ჩართეს მესამე საფეხურის ძრავები, რათა გადაეყვანათ იგი გადასასვლელ ორბიტაზე, რომლის აპოგეაა 21.000 მილი და პერიგეა — 111 მილი.

როცა თანამგზავრები მიაღწევენ ამ ორბიტის აპოგეას, მესამედ ჩართავენ ძრავებს, რათა მიაღწიონ წრიულ ორბიტას 21.000 მილ სიმაღლეზე, რომელიც დედამიწის ეკვატორის სიბრტყეში იმყოფება. უფრო მოგვიანებით დაიწყება თანამგზავრთა გამოყვანა კონტეინერიდან დამოუკიდებელ ეკვატორულ წრიულ ორბიტებზე, რომელთა სიმაღლეა დაახლოებით 20.940 მილი და დედამიწის ირგვლივ მიმოქცევის პერიოდი დაახლოებით 12 დღე-ღამე. თანამგზავრთა ფრენის სიჩქარეთა მცირე განსხვავების შედეგად სამი თვის შემდეგ ისინი თითქმის თანაბრად განლაგდებიან დედამიწისირგვლივ ორბიტაზე.

თანამგზავრთა საშუალებით კავშირის ექსპერიმენტული სეანსების მოსაწყობად ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო გამოიყენებს კემპ-რობერტსის (კალიფორნიის შტატი) და ფორტ-დიქსის (ნიუ-ჯერსის შტატი) სტაციონარულ სათვალთვალო და კავშირგაბმულობის მიწისზედა სადგურებს, აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში, ჰავაისა და ფილიპინების კუნძულებზე განლაგებულ მობილურ სადგურებს. შესაძლოა, რომ ამ ექსპერიმენტებში მონაწილეობას მიიღებს ბრიტანეთის კუნძულებზე განლაგებული ინგლისის სათვალთვალო და კავშირგაბმულობის მიწისზედა სადგური.

კავშირგაბმულობის თითოეული თანამგზავრი უზრუნველყოფს ერთმანეთისაგან დაახლოებით 10.000 მილით დაშორებული მიწისზედა სადგურების კავშირგაბმულობის ორი ტელეფონის არხის ერთდროულ რეტრანსლაციას. თითოეული თანამგზავრის გამოსადეგობის სავარაუდო ვადაა წელიწადნახევარი.

შრომისა და კაპიტალის ბრძოლა

საფრანგეთი. ათასობით პარიზელი მონაწილეობდა დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართა ფრანგ მეწარმეთა ეროვნული საბჭოს შენობასთან. აქ გამართულ მიტინგზე გამოვიდა შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი. ჩვენ მოვითხოვთ, თქვა მან, სამუშაო კვირის შემცირებას, ხელფასის გარანტირებული მინიმუმის მომატებას, საპენსიო ასაკის შემცირებას.

მიტინგები და გაფიცვები მოეწყო საფრანგეთის ბევრ რაიონში. სანავსადგურო ქალაქ ლორიანში დემონსტრაციაზე გამოვიდა ათასზე მეტი კაცი. გემთმშენებლებისა და მეტალურგიული საწარმოების მუშებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ მათი ცოლები და შვილები. მანიფესტაცია მოეწყო იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მთელ რიგ საწარმოებში განზრახული აქვთ მუშათა დათხოვნა.

ინგლისი. ნავსადგურებში ინგლისის გემების დაბრუნების კვალობაზე სულ უფრო იზრდება ინგლისის სავაჭრო ფლოტის გაფიცულ მეზღვაურთა რიცხვი. გაფიცვაში უკვე 25 ათასამდე კაცი მონაწილეობს. დამარგულებულია 826 გემი. ინგლისის სხვა პროფკავშირთა წევრები განაგრძობენ სახსრების შეგროვებას მეზღვაურთა საგაფიცვო ფონდისათვის.

ინგლისის ბევრი რაიონის ასობით ბინის დამქირავებელმა დემონსტრაცია მოაწყო პარლამენტის მთავარ ფოიეში ბინის ქირის ზრდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ერთ-ერთ პლაკატზე ეწერა: მაშინ, როცა ვილსონის მთავრობა ხელფასის მომატებას სამნახევარი პროცენტით საზღვრავს, ბინის ქირა 75 პროცენტით გაიზარდა!

დემონსტრანტები ერთხმად გაიძახოდნენ ლოზუნგებს, მოითხოვდნენ ბინის ქირის შემცირებას მუნიციპალურ და კერძო სახლებში. ხელისუფლებმა პოლიცია გამოიძახეს. ერთი დემონსტრანტი დააპატიმრეს.

იტალია. ახალი შრომითი შეთანხმების დადების მოთხოვნათა მხარდასაჭერად კვლავ გამოაცხადეს საერთო ეროვნული გაფიცვა იტალიის მუშათა კლასის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა რაზმმა — სამშენებლო მრეწველობის მშრომელებმა. იტალიის მთელ რიგ რაიონებში გაფიცვა 48 საათს გაგრძელდება. სულ ამ ბრძოლაში მონაწილეობს მილიონზე მეტი ადამიანი. ბევრ ქალაქში ეწყობა მშენებელთა მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები.

24 საათის გაფიცვა გამოაცხადა ავიასატრანსპორტო კომპანიის „ალიტალიის" ტექნიკურმა პერსონალმა.

24 საათით შეწყვიტეს მუშაობა მილანის, ტრიესტისა და პიაჩენცის კვების მრეწველობის მშრომელებმა. ისინი მოითხოვენ ახალი შრომითი შეთანხმების დადებას, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ხელფასის მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება.

კანადა. გამარჯვებით დამთავრდა დოკერთა 36 დღის გაფიცვა, რომელიც მოეწყო მდინარე წმინდა ლაურენტის ნავსადგურებში. გაფიცვის შედეგად დოკერებს მოუმატეს ხელფასი, გაუმჯობესდა შრომის პირობები. გარდა ამისა სანაოსნო კომპანიები იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ დოკერთა ბრიგადების შემადგენლობის შემცირებაზე, რასაც აპირებდნენ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ავტომატიზაციის დანერგვასთან დაკავშირებით.

იაპონია. რკინიგზებზე, რომლებიც 23 წვრილ კერძო კომპანიას ეკუთვნის, 15 ივნისს მუშებმა მოაწყვეს 12 საათის გაფიცვა. რკინიგზელები მოითხოვენ საზაფხულო დახმარებას სიძვირის ზრდასთან დაკავშირებით. (საკდესი).

• თეატრი •

სილვას ახალი სიცოცხლე

კალმანის ოპერეტა მუსიკალური კომედიის თეატრში

ოპერეტის ისტორიამ არ ახსოვს ისეთი წარმატება, როგორც ი. კალმანის „სილვას“ ხვდა. ოფიციალური სტატისტიკის ცნობით, ვენაში იგი ორი ათასზე მეტჯერ დაუდგამთ, ბერლინში კი, სადაც მას ცნობილი ფრიც მასაარი მღეროდა, „სილვა“ ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად იდგმებოდა... ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია — „სილვა“ დღეს თავისი დაბადების ნახევარ საუკუნეს აღნიშნავს. სწორედ ამ საიუბილეო თარიღს მიუძღვნა ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა თავისი ახლებური და არა განახლებული დადგმა. ახლებური იმიტომ, რომ სარეცენზიო სპექტაკლი არ არის იმის მექანიკური აღდგენა, რაც ადრე იდგმებოდა ჩვენს თეატრში.

პროგრამა გვაუწყებს: „სილვა“, ოპერეტა ორ მოქმედებად, პროლოგითა და ეპილოგით. რა თქმა უნდა, ოპერეტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რომ არავითარი პროლოგი და ეპილოგი „სილვას“ არა ჰქონია. საქმე ის არის, რომ თეატრის კოლექტივი შემოქმედებითად მიუდგა ამ საკითხს და ოპერეტაში შეიტანა ეს ცვლილება, რითაც სცენაზე მომხდარი ამბავი უშუალოდ დაუკავშირა კომპოზიტორის ბიოგრაფიას, თითქოს ყოველივე ეს პირადად გადახდა ი. კალმანს. მოდით ნუ ვიდავებთ ახლა იმის თაობაზე, რამდენად უფლებამოსილი იყო ამაში თეატრი, საჭირო იყო თუ არა ეს, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს და ა. შ. სხვა რომ არაფერი, ასეთი ლირიკულობა კარგი გაგებით, ოპერეტის ჟანრობრივი სიმპტომაა.

მაგრამ ხომ არ დაირღვა ამით სწორედ ჟანრის საკითხი? და თუ მართლაც ასე მოხდა, რამდენად არის განპირობებული ლიტერატურულ-მუსიკალური პირველწყაროთი?

ი. კალმანის შემოქმედების თავისებურება ვენის ე. წ. კლასიკურ ოპერეტასთან შედარებით ყველაზე მეტად „სილვაში“ გამოვლინდა. აქ ყველაზე უკეთ არის გამოკვეთილი ის სიახლე, რაც კომპოზიტორმა შეიტანა ამ საინტერესო ჟანრის შემდგომი განვითარების საქმეში. თუ ვენის კლასიკურ ოპერეტაში ვერ ვხვდებით ერთ მთლიან დასრულებულ მუსიკალურ-დრამატულ ხაზს, კალმანმა თავისი ოპერეტა ააგო გარკვეულ სიუჟეტზე.

„სილვას“ დადგმისას მთავარია ერთი რამ. უნდა შევძლოთ ნაწარმოების სიუჟეტური მხარის გაშლა-განვითარება გარკვეული მიზანდასახულობის მისაღწევად. უნდა ვიპოვნოთ „სერიოზული“, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ოპერეტაა, რომ საჭიროა მუსიკალურ-დრამატულ სიუჟეტში შევინარჩუნოთ გამქრალი საოპერეტო სპეციფიკა და ის, რაც „სერიოზულად“ მიგვაჩნია, მხოლოდ წმინდა ოპერეტის ჟანრით გადმოვცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ დრამატულ სპექტაკლს ან სხვა რამე ჟანრს. ასეთი სიფრთხილე მით უფრო საჭიროა, რომ „სილვაში“ კომპოზიტორი ყველაზე მეტად დახვილდა ჟანრს და ღრმად შეიჭრა მუსიკალურ-ფსიქოლოგიური დრამის სფეროში. დრამამ და ოპერამ ეს ტრადიციული თემა (იგულისხმება ა. დიუმას „ქალი კამელიებით“ და ჯ. ვერდის „ტრავიატა“) თავიანთი საკუთარი სპეციფიკური საშუალებებით გადაწყვიტეს. იგივე უნდა გააკეთოს ოპერეტამაც. სწორედ აქ „შეცდა“ დამდგმელი-რეჟისორი ე. გედევანიშვილი, რის გამო სპექტაკლს დაეტყო დრამატული თეატრის ხელწერა, მხიარული ოპერეტის ნაცვლად იგი გადაიხარდა მუსიკალურ დრამად, თუმცა ამის საბაბს ნაწარმოების ლიტერატურულ-მუსიკალური პირველწყარო იძლევა.

თუ შევეგუებით „სილვას“ ასეთ დრამატულ ინტერპრეტაციას, უნდა ითქვას, რომ რეჟისორმა გამოავლინა მუსიკისა და დრამის ერთ მხატვრულ მთლიანობაში ჰარმონიულად შერწყმის უნარი, კარგად გაიაზრა მისი როგორც ფსიქოლოგიური, ისე გარეგნული მხარე, შექმნა მიზანსცენები, რომლებიც ხელს უწყობენ მსახიობთა სცენური მუსიკალური შესაძლებლობების სრულ გამოვლინებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დირიჟორ თ. კობახიძის ღვაწლი სპექტაკლის საერთო წარმატებაში. მცირერიცხოვანი ორკესტრის მიუხედავად, მან შეძლო მაყურებლამდე მიეტანა მთელი სიმშვენიერე კალმანის მელოდიური მუსიკისა, ამასთან გუნდური ადგილები ისე დაამუშავა, რომ სპექტაკლის აქტიურ, მოქმედ ელემენტად აქცია, როგორც ეს ახასიათებს „სილვას“ პარტიტურას. თეატრის საბალეტო დასი ახალგაზრდა მსახიობებისაგან შედგება, მაგრამ გამოცდილი ბალეტმეისტერის დ. მაჭავარიანის ნამუშევარი მაინც უწყობს ხელს სპექტაკლის საერთო მხატვრულ-ემოციურ აღქმას. ქების მეტს ვერას ვიტყვით ახალგაზრდა მხატვარზე მ. მურმანიძეზე, რომელიც შესანიშნავ გარემოს უქმნის მოქმედ პირთა განწყობილებას.

მაგრამ მთავარი მაინც მსახიობია. ამაში ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, როცა ვუსმენთ და ვუცქერთ სილვას როლის შემსრულებელს თინათინ მერკვილაძეს, რომელმაც ერთხელ კიდევ მოგვანიჭა ნამდვილი სიხარული. მისი სილვა უაღრესად ძლიერი სახეა, რომელშიც ძნელია უპირატესობა მიანიჭოთ ვოკალურ ან დრამატულ მხარეს, ნიჭიერი მსახიობი ერთნაირად ძლიერია.

ნამდვილი ფეიერვერკია სცენაზე, როცა ო. ბახტაძე (ბონი) და ბ. ზევალიშვილი (ლეოპოლდი) გამოჩნდებიან. ისინი ტონს აძლევენ მთელ სპექტაკლს. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ნ. პიპინაშვილი ედვინის როლში თავისი ლამაზი ბარიტონითა და სცენური მომხიბვლელობით. ასევე კარგია რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. ჩოხელის იულიანა, ლ. ჩიბაშვილის სტასი, ნ. პეტრიაშვილის რონსი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ბერიაშვილის ი. კალმანი, თ. ხელაშვილის ფერი, ა. შალიკაშვილისა და ლ. ყარალაშვილის ეპიზოდური როლები — თეატრის დირექტორი და ნოტარიუსი და სხვ.

ორიოდე შენიშვნაც.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაიხვეწოს ოპერეტის ქართული ტექსტი (ავტორი გ. ნუცუბიძე) რომელიც, მსუბუქად რომ ვთქვათ, არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს, დარღვეულია ქართული ენის ბუნებრივი წყობა, ეტყობა უცხოური კონსტრუქციები, ლექსებს პოეტურობა და ამაღლებული სული აკლია და ა. შ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გუნდს, რომელიც მხოლოდ ვოკალური თვალსაზრისით ტოვებს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას, საჭიროა მივხედოთ მის კოსტიუმებსა და სცენაზე განლაგებას, შინაგან კავშირს მთავარ მოქმედ პირებთან.

კიდევ ერთი რამ. იწყება თუ არა ოპერეტა და სილვა ჩამოდის კიბეებზე, მაყურებელი ტაშით აჯილდოებს მხატვარს, იმდენად მაღალმხატვრულად არის გაფორმებული და ნაირფრად, გემოვნებით განათებული ეს სცენა. არ შეიძლება აქ არ იგრძნო მხატვრის დახვეწილი გემოვნება. მაგრამ როგორც კი გამოეთიშება, თუ შეიძლება ითქვას, მხატვრული განათება, საოცრად ღარიბდება სცენის დეკორაციული გაფორმება, ქრება პირველი შთაბეჭდილება. მხატვრული მთლიანობის შესანარჩუნებლად საჭიროა კიდევ იფიქროს მხატვარმა.

აღნიშნული შენიშვნები, როგორც იტყვიან, ვერ ჩრდილავს „სილვას“ დიდ მხატვრულ ღირსებას, იმ ნამდვილ ესთეტიკურ სიამოვნებას, რომელსაც სპექტაკლი ანიჭებს მაყურებელს.

გ. დოლიძე,
გ. ხარატიშვილი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „სილვა“.

ახალი ამბები · ქრონიკა

მადლენ ბრაუნი თბილისის სტუმარი

რამდენიმე დღეს ქართველ ლიტერატორთა სტუმარი იყო საფრანგეთის გაერთიანებული გამომცემლობის ერთ-ერთი გენერალური დირექტორი და ჟურნალ „ევროპის“ თანამშრომელი მადლენ ბრაუნი. ეს გამომცემლობა ცნობილია, როგორც საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა პროპაგანდისტი. კერძოდ მან გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. განზრახული გვაქვს, თქვა მადლენ ბრაუნმა, გამოვცეთ აგრეთვე ქართველ ავტორთა მთელი რიგი სხვა ნაწარმოებები.

ფრანგი სტუმარი გაეცნო პოეტისა და მთარგმნელის ტატიანა ავალიანის შემოქმედებას, კარგი შეფასება მისცა ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა გამოჩენილ ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანს ფრანგულ ენაზე, რომელიც ტ. ავალიანს ეკუთვნის. სამწუხაროა, რომ ფრანგი მკითხველი ჯერ არ იცნობს ამ შესანიშნავ პოეტებს, თქვა მადლენ ბრაუნმა.

სტუმარმა დაათვალიერა საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. იყო საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში.

— მესიამოვნა, როცა გავიგე, რომ ლადო გუდიაშვილი საფრანგეთში ცხოვრობდა და დღემდე უყვარს პარიზი და პარიზელები, — თქვა ქალბატონმა ბრაუნმა.

თბილისიდან წასვლისას მან აღნიშნა:

— მომხიბლა საქართველომ, შესანიშნავმა მზიურმა მხარემ. ვწუხვარ, რომ ასე ცოტა ხნით ჩამოვედი. (საქინფორმ).

დაღესტნელ მეგობრებთან

დუშეთი. (საქ. კორ.). ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც დუშეთის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია პირველად ჩავიდა დაღესტნის მთებში — გუნიბის რაიონში. სწორედ მაშინ დაედო დასაბამი ქართველ და დაღესტნელ მეცხოველეთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ტრადიციად იქცა.

მას შემდეგ საქართველოს რამდენჯერმე ეწვივნენ გუნიბის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ისინი გაეცნენ რაიონის კოლმეურნეობებს. დაღესტნელ მეგობრებს ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ.

ამ დღეებში დუშეთიდან დაღესტანს გაემგზავრა რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელშიც შედიან პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. შადური, ბაზალეთის კოლმეურნეობის მწველავი ე. კედელაშვილი, ცნობილი მელიორატორი, სოციალისტური შრომის გმირი ყ. გაგაძე, სოფელ ჩოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. აფციაური, კომკავშირის დუშეთის რაიკომის მეორე მდივანი ე. ახალაშვილი, ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი სადგურის უფროსი ს. ბახტაძე, საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. ქარსელაძე და სხვ.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ სპეციალურ ნარკვევს მიუძღვნის ქართველ და დაღესტნელ კოლმეურნეთა მეგობრობას.

ა. ი. კიზირია — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ანტონ იოსების-ძე კიზირიამ ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. ი. კიზირიასათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

მაღაროელთა დასვენება

ჭიათურა. (საქ. კორ.). ასობით მაღაროელმა დაისვენა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. მარტო ლენინის სახელობის მაღაროდან შეღავათიანი საგზურებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნა 74 მაღაროელმა. ესენტუკში დაისვენა გ. დარბაიძემ, ბორჯომ-ლიკანში შ. დევიძემ და გ. კიკნაძემ. მოსკოვის ათდღიანი ტურისტული საგზურებით ისარგებლეს რ. ძინძიბაძემ და თ. ჯაოშვილმა. მაღაროელთა ღამის სანატორიუმში ორასზე მეტმა კაცმა იმკურნალა.

მოვიდა ზაფხული და მშრომელებმა კურორტებს მიაშურეს. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე. ლურჯად მოლივლივე გრილი ზღვა, სუფთა ჰაერი და მცხუნვარე, ჯანმრთელობის გამკაჟებელი მზე უველას იზიდავს, ხოლო ზღვისპირა პარკები და ხეივნები დასვენების საუკეთესო ადგილებია.

სურათზე: ქობულეთის პლაჟზე.

ჩვენთან საგასტროლოდ

ობრაზცოვის თოჯინები

დღეს თბილისში გასტროლებს იწყებს მოსკოვის თოჯინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრი

ჩვენი თეატრი შეიქმნა 1931 წელს ბავშვთა მხატვრული აღზრდის ცენტრალურ სახლთან. პირველი სპექტაკლი 1932 წელს გაიმართა. ამიტომ ეს წელი მიგვაჩნია ჩვენი დაბადების წლად. თეატრი ჯერ მხოლოდ საბავშვო სპექტაკლებს უჩვენებდა, შემდეგ გამოჩნდა პირველი სპექტაკლი მოზრდილებისთვისაც: ეს იყო ნ. გერნეტის „ალადინის ჯადოსნური ლამპარი“, რომელიც დღემდეა ჩვენი თეატრის რეპერტუარში. მართალია, მას ახლა უფროსი ასაკის ბავშვებისათვის ვთამაშობთ.

დაარსებისას თეატრში სულ 8 კაცი იყო, ახლა კი იქ მუშაობს 200-ზე მეტი კაცი — მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები, რეჟისორები, თოჯინების დასამზადებელი და გასაფორმებელი საწარმოო სახელოსნოები. ძნელია უველა იმ სპექტაკლის ჩამოთვლა, რაც ამ წლების მანძილზე დაიდგა ჩვენს თეატრში.

ჩვენი თეატრის თავისებურებას ის შეადგენს, რომ ვცდილობთ ვითამაშოთ და დავდგათ ის პიესები, რომლებიც ვერ დაიდგმება „ცოცხალი პლანის“ თეატრში. და მხოლოდ ის სპექტაკლები უძლებენ დროის გამოცდას, რომლებშიც ჩვენი რწმენის ერთგულნი ვრჩებით. უველა ეს პიესა იქმნებოდა თეატრში და საბოლოო რედაქცია უკეთდებოდა მხოლოდ პრემიერის შემდეგ. საერთოდ თოჯინების თეატრში პიესაზე მუშაობა შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ სპექტაკლის მომზადების პერიოდში. თოჯინების თეატრის სპეციფიკა გვაიძულებს ჩვენც და ავტორსაც ხელი ავიღოთ ზოგიერთ სცენაზე და შევქმნათ სხვა სცენები.

რამდენიმე სიტყვა იმ სპექტაკლების შესახებ, რომლებსაც თბილისში ვაჩვენებთ.

ბავშვებისათვის მოგვაქვს გ. მატვეევის „ჯადოსნური კალოში“. ამ პიესაში ლაპარაკია მონადირისა და მისი ძაღლის თავგადასავალზე, იმაზე, რომ თვითეულს შეუძლია გახდეს გაბედული და მამაცი, თუ ამას ნამდვილად მოინდომებს. ეს სპექტაკლი დადგა რსფსრ სახალხო არტისტმა ს. სამოდურმა. დეკორაციები და თოჯინები შესრულებულია გ. რუბლიოვის მიერ. ეს სპექტაკლი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. ბავშვებს შემდეგ ვუჩვენებთ ე. ტარახოვსკაიას მიერ დამუშავებულ რუსულ ხალხურ ზღაპარს „ქარიყლაპიას ბრძანებით“.

ამ სპექტაკლში ნაამბობია, უბრალო რუსმა გლეხმა ჭკუით როგორ აჯობა მეფეს. სპექტაკლი დადგმულია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ობრაზცოვის მიერ. ეს სპექტაკლი 30 წელიწადია იდგმება ჩვენი თეატრის სცენაზე. მესამე სპექტაკლი, რომელსაც ბავშვებს ვუჩვენებთ, არის ს. მარშაკის „მისტერ ტვისტერი და უცხოელი პეტრიკელა“, სპექტაკლ „მისტერ ტვისტერში“ მოთხრობილია თავგადასავალი ამერიკელ მილიონერ მისტერ ტვისტერისა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოსული როგორც ტურისტი და სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე თავისი რასობრივი ცრურწმენების გამო. „უცხოელი პეტრიკელა“ ს. მარშაკის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომლითაც გადებულია ხიდი ბაზრობათა ძველი ბალაგანური ტაკი-მასხარების გამოსვლებიდან თოჯინების თეატრის პროფესიულ სპექტაკლისაკენ, მოთხრობილია რუსული თოჯინური სცენის მცირეცხლი გმირის მხიარული თავგადასავალი. ეს სპექტაკლი დადგმულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგეი ობრაზცოვის მიერ.

მოზრდილნი ნახავენ ი. შტოკის „ღვთაებრივ კომედიას“. ამ სპექტაკლში მოთხრობილია სამყაროს შექმნის ამბავი.

შემდეგ ი. დრდას და ი. შტოკის „ეშმაკის წისქვილი“ მოგვითხრობს გულადი ჯარისკაცის მარტინის ორთაბრძოლაზე არაწმინდა ძალასთან. ამ ძნელ ბრძოლაში მარტინი იმარჯვებს. და დასასრულ, სპექტაკლი „არაჩვეულებრივი კონცერტი“ რომელიც 20 წელია იდგმება ჩვენთან. მისი სამი ათასზე მეტი წარმოდგენა გაიმართა.

ეს არის სატირული მიმოხილვა, რომელიც დასცინის იმ უხამსობასა და უნიჭობას, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პოულობს თავშესაფარს ესტრადის სცენაზე.

სპექტაკლი დადგმულია სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ობრაზცოვისა და რსფსრ სახალხო არტისტის ს. სამოდურის მიერ.

თეატრმა დაამთავრა გასტროლები სოჭსა და ბაქოში, სადაც 45 სპექტაკლი გავმართეთ ბავშვებისა და მოზრდილებისათვის, და ჩამოვიდა ქ. თბილისში. აქ ათი წლის წინათ ვიყავით... დიდი მღელვარებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ვემზადებოდით ამ გასტროლებისათვის თქვენს შესანიშნავ და სტუმართმოყვარე დედაქალაქში.

თეატრში შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

კ. მირსკი,
თეატრის დირექტორი-განმკარგულებელი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ეშმაკის წისქვილი“.

სპორტი

ტოლიდოს ხალიჩებზე

ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ტოლიდოს უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი დიდი სპორტული პაექრობის არენა გახდა. აქ ერთდროულად სამ ხალიჩაზე დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში 33 ქვეყნის 250 უძლიერესი ათლეტის, მათ შორის საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით.

ჩვენმა მოჭიდავეებმა სტარტზე სიხარულთან ერთად სინანულიც განიცადეს. მაგალითად, უმსუბუქეს წონაში ტ. ალიბეგაშვილმა 5 საჯარიმო ქულა მიიღო. მან დამარცხება განიცადა ლ. ოლეჭისთან (უნგრეთი) და ფრედ დაამთავრა შეხვედრა ამერიკელ რ. სანდერსთან. ასევე ა. ცხოვრებოვმა (საშუალო წონა) წააგო ორთაბრძოლა დინ ლართან (ამერიკის შეერთებული შტატები) და ფრედ დაამთავრა პაექრობა კასან ზიუნბიულთან (თურქეთი).

მინსკელმა ა. მედვედმა (ქვემძიმე წონა) 5 წუთსა და 12 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა დენის ვილიემთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა). ა. ალიევმა (მჩატე წონა) ქულებით დაამარცხა ჰ. სევინჩი (თურქეთი) და კ. ხიროსი (იაპონია). ა. ივანიცკიმ (მძიმე წონა) მოიგო შეხვედრა რ. ბოკთან (გფრ).

ევროპის ჩემპიონმა ზ. ბერიაშვილმა (თბილისი, მსუბუქი წონა) ქულებით მოუგო მონღოლ მ. სერეტერს, ხოლო გ. თედეევმა (ქვემსუბუქი წონა) ფრედ დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ ს. პოლევთან და წმინდა გამარჯვება მოიპოვა შვეიცარიელ შ. ნანსთან. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ბ. საღარაძემ პირველი შეხვედრა ფრედ დაამთავრა იაპონელ მაცანაგასთან და 2 საჯარიმო ქულა აქვს.

დიდი უპირატესობით...

სოხუმში გრძელდება სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი.

16 ივნისს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა გროსმაისტერმა ხოლმოვმა კარგად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა მინიჩთან და თავის გუნდს ქულა შესძინა. ასევე წარმატება ხვდა ვასიუკოვს ველიმიროვიჩთან გადადებულ პარტიაში. კუჩნირი დამარცხდა ივოანოვიჩთან. სახაროვ-ჩირიჩის, ცვეტკოვიჩ-გიორგაძის, კუზმინ-დესპოტოვიჩისა და გურკო-ცვეტკოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ოთხი ტურის შემდეგ ანგარიში იყო 26,5:13,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

გუშინ გაიმართა მეხუთე ტური.

გაფრინდაშვილი ჩინებულად იბრძოდა შტადლერის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. მატულოვიჩმა დაამარცხა კორჩნოი, ლუტიკოვმა, — ველიმიროვიჩი. ხოლმოვ-მატანოვიჩის, სახაროვ-პარმას, ბერტოკ-კერესის, იოვანოვიჩ-კუშნირისა და გიორგაძე-დესპოტოვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ანგარიშია 31:17 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ, რომლებსაც უკვე უზრუნველყოფილი აქვთ პირველი ადგილი.

რევანში არ შედგა

ბულგარეთის ხელბურთელებმა დაამთავრეს გამოსვლები თბილისში. როგორც ვიუწყებოდით, პირველი მატჩი მათ წააგეს თბილისის „ბურევესტნიკთან“ 14:25. 16 ივნისს სტუმრები სპორტის სასახლეში შეხვდნენ საქართველოს გუნდს და კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად 16:19 (9:9).

ევროპაში გამგზავრების წინ

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა — ბრაზილიის ნაკრებმა გუნდმა ევროპაში გამგზავრების წინ რიო-დე-ჟანეიროში მეორე მატჩი გაიმართა ჩეხოსლოვაკიელ ფეხბურთელებთან.

ანგარიში პელემ გახსნა, მაგრამ მე-19 წუთზე კოპლუხარმა წონასწორობა აღადგინა. 10 წუთის შემდეგ დაწინაურდნენ ჩეხოსლოვაკიელები — ბურთი გაიტანა ციკორამ. ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ბრაზილიელებმა ანგარიში გაათანაბრეს (2:2). გოლის ავტორი იყო ზიტო.

მეორე ტაიმი აღინიშნა ბრაზილიელთა იერიშებით, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სტუმართა დაცვის ხაზის გარღვევა და მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა.

მსოფლიოს ჩემპიონი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა — მანგა, ჯიალმა სანტოსი, ბრიტო, ფონტანა, პაულო ენრიკე, ზიტო, ლიმა, ჟაირზინიო, ალსინდო, პელე, ამარილდო.

კლასიკურ მოჭიდავეთა გამგზავრება

ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ტოლიდოში გაემგზავრა სსრ კავშირის კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს პირველობის გათამაშებაში.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში არიან: ს. რიბალკო, ვ. ტროსტიანსკი, რ. რურუა, გ. საპუნოვი, ვ. იგუმენოვი, ვ. ოლეინიკი, ვ. ანისიმოვი, ნ. შმაკოვი.

კლასიკურ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ტოლიდოში გაიხსნება 20 ივნისს და სამ დღეს გაგრძელდება.

ჩვენი სტუმრები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით ამ დღეებში ჩვენს ქვეყანას ეწვევიან და საერთაშორისო მატჩებს გამართავენ ავსტრიისა და უნგრეთის საკლუბო გუნდები „შვარც-ვაისი“ და „დუნაუვაროში“.

პირველი მატჩი „შვარც-ვაისს“ ექნება 22 ივნისს ულიანოვსკში სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან. უნგრელი ფეხბურთელები შეხვედრებს გამართავენ 30 ივნისს და 3 და 6 ივლისს ლენინგრადის „ზენიტთან“, მინსკის „დინამოსთან“ და ვილნიუსის „ჟალგირისთან“.

უცხოეთის სტადიონებზე

☐ სანტიაგოში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. უკანასკნელი მატჩი ჰქონდათ ჩილის გუნდსა და იტალიის „მილანოს“. გაიმარჯვეს ჩილის ფეხბურთელებმა 2:1. პირველი ადგილი დაიკავა მექსიკის გუნდმა (6 ქულა). ხუთ-ხუთი ქულა შეაგროვეს ჩილის გუნდმა და ინგლისის „შეფილდ იუნაიტედმა“.

☐ ცნობილი ფრანგი მძლეოსანი მიშელ ჟაზი მიმდინარე სეზონში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს. 16 ივნისს მან ქ. კურტმანშში მონაწილეობა მიიღო 1.500 მეტრზე რბენაში და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 3 წუთი და 36,3 წამი.

☐ თელ-ავივში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ურუგვაისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებს შორის. წარმატება ურუგვაელებს ხვდათ ანგარიშით 2:1.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კოკისპირული წვიმები ყუბანში

თითქმის ერთი კვირაა ყუბანში განუწყვეტელი კოკისპირული წვიმებია. კოკისპირულ წვიმებს თან ახლავს სეტყვა და ძლიერი ცივი ქარები.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოცენტრის დირექტორმა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ა. ბუგაევმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა:

— 8 ივნისს ჩვენი ქვეყნის ევროპულ ტერიტორიაზე ცივი ჰაერი შემოიჭრა ბარენცის ზღვის რაიონიდან. მან შეაღწია შორს სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში. რადგანაც ადრე აქ მაღალი ტემპერატურა იყო (მცირე აზიის სამხრეთ დასავლეთის რაიონებიდან შემოიჭრა ძალზე თბილი ჰაერი) კრასნოდარის მხარეში წარმოიშვა ტემპერატურის დიდი კონტრასტები. — ჰაერის ორი მასის — ძალიან თბილისა და ძალიან ცივის თავისებური „ორთაბრძოლა“. დიდ სიმაღლეებზე — 5-7 ათას მეტრამდე — წარმოიშვა ციკლონი, რომელმაც ხელი შეუწყო ძალიან ძლიერი ბოლქვა-წვიმის ღრუბლების შექმნას. სწორედ ამან გამოიწვია კოკისპირული წვიმები, მსხვილი სეტყვა, გრიგალი და ქარბორბალა.

ეს კოკისპირული წვიმები გავრცელდა მთელ კრასნოდარის მხარეში, სტავროპოლის მხარის ნაწილში და როსტოვის ოლქის სამხრეთით. ნალექების სადღეღამისო რაოდენობა ზოგიერთ რაიონში 182 მილიმეტრს აღწევს, ხოლო ადლერსა და ლაზარევსკაიაში ას მილიმეტრს აღემატება. გადარეცხილია გზების ცალკეული უბნები. ამის გამო რამდენიმე საათს შეწყდა მატარებლებისა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა. გელენჯიკში წყლის ნაკადის სიმაღლე 80 სანტიმეტრი იყო. ამასთანავე აქ მოვიდა მარილის წვიმა, რომელსაც თან ახლდა ქარბორბალა. ქარბორბალამ ზღვიდან წამოიღო წყალი და ხმელეთზე გამოიტანა.

11-14 ივნისს კრასნოდარის მხარეში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვია წყლის დონის მკვეთრი ამაღლება ყუბანის აუზის ქვემო ნაწილსა და პატარა მდინარეებში, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან. ყუბანის შენაკადების—ფარსის, პშიშის, უბინის, აფიპსის წყლის დონემ 3-4 მეტრით მოიმატა.

წყალდიდობასთან დაკავშირებით შენაკადებში აღინიშნება წყლის მნიშვნელოვანი მომატება მდინარე ყუბანის ქვემო წელში. წყალი კრასნოდართან უკანასკნელ დღეებში ერთიორად გადიდდა, შექმნა წყალდიდობის დიდი საფრთხე დაბლობებში. წყლის დონე განსაკუთრებით მაღალი იყო კრასნოდარის მხარის პატარა მდინარეებში, რომლებიც შავ ზღვას ერთვიან. აქ წყალმა დატბორა ირგვლივმდებარე ადგილები. ზოგიერთმა მდინარემ ხიდი წაიღო.

უახლოეს სამ დღეში ჩრდილოეთ კავკასიაში არ შეწყდება კოკისპირული წვიმები, ქარი გაძლიერდება, აცივდება. ღამით იქნება 5-10, დღისით 12-16 გრადუსი ტემპერატურა. შემდეგ კი წვიმები შეწყდება, ჰაერი თანდათან გათბება.

თეატრები

18 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-11 აბონ. მე-9 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ქუთათურები, რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — შეხვედრა (მე-11 აბონემენტი), გრიბოედოვის სახელობის — კონოს გადაღებაა (1-ლი აბონ. მე-9 წარმოდგენა), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სილვა, ფილარმონიის საზაფხულო — თოჯინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრის გასტროლები — ღვთაებრივი კომედია (სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით).

ტელევიზია

18 ივნისი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — პატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 17.50 — მოსწავლეებისათვის სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“, 18.30 — ჩვენი სტუმრები, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ცსკა-„სპარტაკი“ მოსკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდობა“, 20.50 — კინონარკვევი, 21.15 — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“, 22.00 — ახალი ამბები, 22.20 — გერმანული მხატვრული ფილმი „სრულიად საიდუმლოდ“, 23.55 — გადაცემათა პროგრამა 19 ივნისისათვის, 24.00 — „საზაფხულო მელოდიები“ მსუბუქი მუსიკის კონცერტი (გადმოცემა რუმინეთიდან).

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 15 ს. 45 წ.

19 ივნისი

10.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.40 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 12.10 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ფიზიკაში, 13.30 — ლექცია ქიმიაში, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.40 — კინონარკვევი, 18.10 — გადაცემა, მიძღვნილი მედიცინის მუშაკთა დღისადმი, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „ნეფტიანიკი“ ბაქო — „დინამო“ კიევი (გადმოცემა ბაქოდან), 20.45 — „თეატრალურ აფიშასთან“, 21.35 — კინონარკვევი, 21.45 — „მუსიკალური რუსთაველიანა“, 22.20 — კინოფილმი „შეხვედრა იგორ ილინსკისთან“.

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დილით 12 საათიდან, საღამოს 16 ს. 15 წუთიდან.

ეს ვნახოთ, ეს მოვისმინოთ

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-62-18, საბჭოთა მშენებლობის — 9-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-83, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-64, განცხადებების — 8-98-06.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04988 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.